შიდა ქართლი

SHIRAKI

გამოცემის მე-80 წელი

გამოდის 1937 წლიდან
დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№23 (9.785)
17 – 24 ივნისი 2017 წელი
ფასი: 50 თეთრი
ყოველკვირეული გამოცემა

გვ.2

უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე მიწების გაყიდვაზე მორატორიუმს პარლამენტმა მხარი დაუჭირა

ისტორიული უსამართლობის მსხვერპლი

გვ.3

გვ.7

დელფინებმა ზღვიდან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი გამოაბრძანეს

გვ. 5

დედოფლისწყაროს ტურისტული განვითარების კონცეფციაზე მუშაობა დაიწყო

ჩაჭრილი მოსწავლეები — სკოლის თუ სისტემის პრობლემა

გვ.5

ეთერ ზურიკაშვილი: „25 მოსწავლე ჩაიჭრა უცხო ენაში, 24 — მათემატიკაში, 13 — ისტორიაში და სამიც — ქართულ ენა-ლიტერატურაში. მაგრამ, მხოლოდ უარყოფითზე ნუ შევჩერდებით, ცხადია, იყო წარმატებებიც“

საჯარო მოხელეებს მოხელის კლასი მიენიჭებათ და საკლასო დანამატსაც მიიღებენ

გვ.2

სასიკვდილო თამაშები

გ 3 . 4

საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამა ამოქმედდება

გ 3 . 6

C M Y K

უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე მიწების გაყიდვაზე მორატორიუმს პარლამენტმა მხარი დაუჭირა

საქართველოს პარლამენტმა უცხო ქვეყნების მოქალაქეებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით მორატორიუმის გამოცხადებას მხარი პირველი მოსმენით დაუჭირა. კანონ-პროექტს, რომლის ინიციატორიც „ქართული ოცნების“ 40 დეპუტატია მხარდაჭერა 95-მა დეპუტატმა გამოუცხადა, 7 კი წინააღმდეგ წავიდა.

კანონში შესატანი ცვლილებები მიხედვით, რომელსაც პარლამენტი დაჩქარებული წესით განიხილავს, კონსტიტუციაში დაგეგმილი ცვლილებების ძალაში შესვლამდე, "სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის მოქმედება ჩერდება, რომელიც საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის, საზღვარგარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირის მიერ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიულ პირის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადასვლის საკითხს ითვალისწინებს.

მიწის გასხვისების თემაზე გაზეთ „შირაქთან“ კომენტარი გააკეთა სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარმა, პარლამენტის აგრარული კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ირაკლი შიოლაშვილმა:

„ძალიან მნიშვნელოვანია უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე ქართული მიწა აღარ გასხვისდება. ჩემმა ამომრჩეველმა იცის და თავიდანვე ყველგან ვაფიქსირებდი, რომ წინააღმდეგი ვიყავი მიწის გაყიდვის. წინა ხელისუფლების პირობებში ხშირი იყო შემთხვევები, როცა ქართველებს არ ეძლეოდათ საშუალება საკუთარ ქვეყანაში მიწის ფართობი შეეძინათ, ტენდენცია იქით იყო მიმართული, რომ მიწებს უცხო ქვეყნიდან ჩამოსული ადამიანები ყიდულობდნენ და ბოლო ხანს ამან მასობრივი ხასიათი შეიძინა, მათ შორის კახეთშიც. ნათლად ჩანს რაიონებში როგორ არიან წარმოდგენილები, ისინი ფლობენ მიწის დიდ ფართობებს და ქართველები ვერ ახერხებდნენ. დღეს, ვამაყობ, რომ იმ უმრავლესობის წევრი ვარ, რომელმაც ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო. დიახ, კონსტიტუციაში ხაზგასმით ჩაიწერება, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს აღარ შეეძლებათ ჩვენს ქვეყანაში მიწის ნაკვეთები შეიძინონ. ვრფიქრობ, რომ ეს გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი ფერმერული მეურნეობების განვითარებას, ასევე, რიგითი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ასე რომ, არ ვიზიარებ მოსაზრებას, თითქოს ამით ინვესტორები დაფრთხებიან და ეკონომიკაში მძიმე სურათი შეიქმნება“.

აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა მიწის გაყიდვაზე მკაცრი რეგულაციები დააწესეს

რა გზას აირჩევს საქართველო?

გარდამავალ პერიოდში, რომელიც ევროკავშირში გაწევრიანების შემდეგ ბულგარეთის, ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთისა და სლოვაკეთისთვის 7 წელს გაგრძელდა, ხოლო პოლონეთისთვის 12 წელს, უცხოელებს მიწის ყიდვა აეკრძალათ. ევროკავშირის ახალ წევრებს ჰქონდათ შიში, რომ მას შემდეგ, რაც მათი ბაზრები გაიხსნებოდა, განვითარებული ქვეყნების ფერმერები ისარგებლებდნენ მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და მიწის დიდ ნაკვეთებს იაფად შეიძენდნენ, რის გამოც ადგილობრივი ფერმერები მათთან შედარებით არაკონკურენტულ გარემოში აღმოჩნდებოდნენ.

გთავაზობთ ევროკავშირის ქვეყნებში უცხო ქვეყნის იურიდიულ და ფიზიკურ პირთა მიერ მიწის შეძენისას მოქმედ რეგულაციებს:

გერმანია: მიწის გაყიდვის პროცედურებს სასოფლო-სამეურნეო მიწის გაყიდვის კანონი არეგულირებს. უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწების შეძენაზე დაწესებულია შეზღუდვები. კანონით დაშვებული მინიმალური ზომის(ეს ზომა სხვადასხვა ფედერაციაში სხვადასხვაა) სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთის გაყიდვას სპეციალური მარეგულირებელი ორგანოს თანხმობა სჭირდება. მარეგულირებელი არკვევს, ხომ არ აქვს ამ ნაკვეთთან დაკავშირებით ვინმეს უპირატესი შესყიდვის უფლება. თუ მოკვლევის პერიოდში გაირკვევა, რომ ამ კონკრეტულ მიწის ნაკვეთზე უპირატესი შესყიდვის უფლება სხვას ეკუთვნის, მარეგულირებელს შეუძლია გაყიდვა გააუქმოს. იმის გამო, რომ გერმანია უპირატესობას ანიჭებს მიწის კონსოლიდაცია-გამსხვილებას, მეზობელი და მომიჯნავე ფერმერები არაფერმერებთან შედარებით სასოფლო-სამეურნეო მიწის შესყიდვის უპირატესი უფლებით სარგებლობენ.

გერმანიაში საკმაოდ ფრთხილი მიდგომაა სასოფლო-სამეურნეო მიწის არასათანადო გამოყენებასთან დაკავშირებით. ამიტომ, სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენისათვის აუცილებელია განცხადების წარდგენა, რომელშიც აღწერილი და დასაბუთებული უნდა იყოს სასოფლო-სამეურნეო მიწის განვითარების გეგმა.

შვედეთი: ფიზიკურ პირებს რაიმე განსაკუთრებული აკრძალვების გარეშე შეუძლიათ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის შეძენა. თუმცა, იმ რეგიონებში, სადაც მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, მიწის ყიდვას ნებართვა სჭირდება. ნებართვის მისაღებად ფიზიკურ პირს შესაბამისი განათლება, ან გამოცდილება (ზოგიერთ შემთხვევაში ორივე ერთად) უნდა ჰქონდეს. ცალკეულ შემთხვევებში, მიწის მფლობელს მის მიერ შეძენილ მიწაზე ცხოვრება მოეთხოვება.

ავსტრია: უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ უძრავი ქონების, მათ შორის მიწის შესყიდვა, შეძენა ან იჯარით აღება საჭიროებს ავტორიზაციას კომპეტენტური რეგიონული უწყებისგან (Länder). უწყება არკვევს, ხომ არ მოახდენს ეს შესყიდვა გავლენას ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ ან კულტურულ ინტერესებზე.

საბერძნეთი: N1892/90 კანონის შესაბამისად, "სტრატეგიულად მგრძნობიარე" ადგილებში, მაგ. სახელმწიფო საზღვრებთან ახლოს მდებარე მიწის შეძენას სჭირდება თავდაცვის სამინისტროს ნებართვა. ადმინისტრაციული პრაქტიკის შესაბამისად, პირდაპირი ინვესტიციების შემთხვევაში ნებართვა მარტივად გაიცემა.

სასოფლო სამეურნეო მიწის შესყიდვაზე შედარებით მკაცრი რეგულაციები აქვთ იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირს მოგვიანებით შეუერთდნენ. ევროკავშირის ახალ წევრებს ჰქონდათ შიში, რომ მას შემდეგ, რაც მათი ბაზრები გაიხსნებოდა, განვითარებული ქვეყნების ფერმერები ისარგებლებდნენ მათი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობით და მიწის დიდ ნაკვეთებს იაფად შეიძენდნენ, რის გამოც ადგილობრივი ფერმერები მათთან შედარებით არაკონკურენტულ გარემოში აღმოჩნდებოდნენ.

გარდამავალ პერიოდში, რომელიც ევროკავშირში განევრიანების შემდეგ ბულგარეთის, ჩეხეთის, ესტონეთის, უნგრეთის, ლატვიას, ლიტვას, რუმინეთის და სლოვაკეთისთვის 7 წელს გაგრძელდა, ხოლო პოლონეთისთვის 12 წელს, უცხოელებს მიწის ყიდვა აეკრძალათ.

ევროკავშირში მიწაზე საკუთრების უფლების მოპოვების მხრივ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეები გათანაბრებულნი არიან ერთმანეთთან, შედარებით გვიან გაწევრიანებულ ქვეყნებში კი უცხოეთის სხვა ქვეყნების მოქალაქეებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობენ.

ასე მაგალითად, ესტონეთში 10 ჰა-ზე ნაკლები ფართობის მქონე სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენაზე აკრძალვები არ მოქმედებს. იმისთვის, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქემ 10 ჰა-ზე მეტი ფართობის მქონე მიწის ნაკვეთის ყიდვის უფლება მიიღოს, ის დაქორწინებული უნდა იყოს ესტონეთის მოქალაქეზე, ბოლო სამი წლის განმავლობაში ესტონეთში ცხოვრობდეს და ფერმერულ საქმიანობას ეწეოდეს. შეუძლია იყიდოს მხოლოდ ის მიწა, რომელიც ფერმერული საქმიანობისთვის იჯარით ჰქონდათ აღებული.

"ჩვენ მორატორიუმით შევქმენით ყველანაირი საკანონმდებლო საფუძველი იმისათვის, რომ საკუთრების უფლება არ შეგვეზღუდა კვალიფიციური კორპორატიული ინვესტორებისთვის და ასევე კომერციული საბანკო სისტემისთვის. მე ვფიქრობ, რომ სასოფლო-სამეურნეო მიწების პრივატიზაცია უნდა მოხდეს, მაგრამ ეს უნდა მოხდეს გარკვეული რეგულაციებით და შეზღუდვებით," - განაცხადა 2 ივლისს ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

ასოციაცია"მომავლის ფერმერის" თავმჯდომარე რუსუდან გიგაშვილი მიიჩნევს, რომ ხელისუფლებამ ჯერ მიწის რეფორმა უნდა დაასრულოს და სასოფლო-სამეურნეო მიწის გასხვისების ფორმებზე შემდეგ იფიქროს: "მიწები არ არის კატეგორიებად დაყოფილი. ჩვენ არ ვიცით რა ოდენობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა გვაქვს ქვეყანაში. არ ვიცით, აქედან რამდენია სახნავ-სათესი და საძოვარი, სად რა ხარისხის ნიადაგი გვაქვს. ძნელი იმის თქმა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფასი რა კრიტერიუმებით არის განსაზღვრული, რადგან მის ხარისხს არავინ ამოწმებს. ამის გამო, საპრივატიზაციოდ გამოტანილი მიწა ზოგიერთ შემთხვევაში რეალურად შესაძლოა, იმაზე ნაკლები ღირდეს, რა ფასადაც არის გამოტანილი აუქციონზე, ანდა პირიქით, მისი ფასი გაცილებით უფრო ძვირი იყოს. უნდა დამთავრდეს მიწის რეფორმა. გავარკვიოთ, რამდენი მიწა გვაქვს, რა ხარისხის და რისი განვითარება გვინდა. მიწის გასხვისების ფორმებზე და გარკვეული რეგულაციების შემოღებაზე ამის შემდეგ ვიფიქროთ," - ამბობს რუსუდან გიგაშვილი.

ოფიციალური ინფორმაციით, საქართველოს მთლიანი ფართობი 7628,4 ათასი ჰექტარია, აქედან 3025,8 ათასი ჰექტარი (39,7%) სასოფლო-სამეურნეო სავარგულია, 802,1 ათასი ჰექტარი (26,5%) - სახნავი, 143,5 ათასი ჰექტარი (4,7%) სათიბი, ხოლო 1796,6 ათასი ჰექტარი (59,4%) საძოვარი. ექსპერტთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ხარვეზებით ჩატარებული და დაუმთავრებელი მიწის რეფორმის გამო, ოფიციალური მონაცემები სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობის შესახებ არასწორია.

"საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" ინფორმაციით, ამჟამად უცხოელები მთლიანად ან ნაწილობრივ ფლობენ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე 19 000 ჰა-მდე მიწას, რაც ქვეყნის მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის 0,7%-ს შეადგენს.

ჩატარდა საკრებულოს სხდომა

16 ივნისს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი უძღვებოდა. სხდომაზე ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2016 წლის 22 დეკემბრის N 30 დადგენილებაში შევიდა ცვლილება. აღნიშნული ცვლილების საფუძველზე ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი 1446,2 ათასი ლარით გაიზარდა და თანხა სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებზე გადანაწილდა. მათ შორის: წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის, საკანალიზაციო სანიაღვრე სისტემის მოწყობა-რეაბილიტაციისთვის, სპორტული დარბაზებისა და მოედნების მშენებლობისთვის, საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის, გარე განათების სისტემის რეაბილიტაციისთვის და სხვა სამშენებლო ღონისძიებებისთვის.

დღესვე, საკრებულომ ცვლილება შეიტანა ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N 26 დადგენილებაში . გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისთვის მიკუთვნებული მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის N 215 დადგენილება. პროექტის მიხედვით , 2017 წლის 1 ივლისიდან შეიცვლება თანამდებობების დასახელებები და თანამშრომლებს მიენიჭებათ შესაბამისი რანგები. პირველი რანგი მიენიჭება სამასახურის უფროსებს, მეორე -განყოფილების მესამე-მთავარ და უფროს სპეციალისტებს და მეოთხე- სპეციალისტებს შესაბამისი კლასის მითითებით.

დღევანდელ სხდომაზე საკრებულომ დადებითად შეაფასა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილი ანგარიში 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ .

სხდომაზე ასევე დამტკიცდა დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მოძრავი და უძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა.

საჯარო მოხელეებს მოხელის კლასი მიენიჭებათ და საკლასო დანამატსაც მიიღებენ

მთავრობამ პროფესიული საჯარო მოხელისათვის მოხელის კლასების მინიჭების წესი დაამტკიცა.

დადგენილება მიმდინარე წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება. მოხელის კლასი მუდმივად ნარჩუნდება და მისი ჩამორთმევა დაუშვებელია.

როგორც დადგენილებაშია აღნიშნული, მოხელისათვის კლასის მინიჭების მიზანია მოხელის მოტივაციის ამაღლება, მატერიალური კეთილდღეობის ხელშეწყობა და საჯარო სამსახურის სტაბილურობის უზრუნველყოფა.

მოხელის კლასების საერთო რაოდენობა 12-ია, სადაც პირველი კლასი არის ყველაზე დაბალი, ხოლო მე-12 — ყველაზე მაღალი.

აღსანიშნავია, რომ მოხელის კლასი არ მიენიჭება იმ მოხელეს, რომელიც დანიშნულია გამოსაცდელი ვადით, გამოსაცდელი ვადის განმავლობაში. გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ კი, მოხელეს მოხელის კლასის მინიჭებისას, გამოსაცდელი ვადა სამსახურის სტაჟში ჩაეთვლება.

მოხელეს, რომელსაც მოხელის კლასი მიენიჭა, ეძლევა თანამდებობრივი სარგოს დანამატი — საკლასო დანამატი. რომლის ოდენობასა და მის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად წესრიგდება.

ისტორიული უსამართლობის მსხვერპლი

ისტორიულ ჰერეთში ქრისტიანულ ტაძრებში აზერბაიჯანელების მიერ შეურაცხმყოფელი საქციელი კიდევ ერთხელ განმეორდა. ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ახალგაზრდა მამაკაცი ქურმუხის ტაძრის საკურთხეველში „ავე მარიას“ გაშარჟებულად ასრულებს. ამას გარდა, 2015 წელს აზერბაიჯანული ტელეარხის ინიციატივით ტაძარი ფილმის გადასაღებ მოედნად გადააქციეს, სადაც მოცეკვავეები საკურთხეველში ცეკვავდნენ, ხტუნაობდნენ და სხვადასხვა შეუფერებელ მოძრაობებს აკეთებდნენ.

გასულ კვირას კახის რაიონის ტერიტორიაზე მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარი, რომელიც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ქართველი მართლმადიდებლებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სალოცავია, ტელეკომპანია „ARB“-ს გადაცემა სახელწოდებით „ფერნანდო ქალაქშია“ სიუჟეტისათვის გადასაღებ მოედნად გამოიყენა. ვიდეოკადრები ტელევიზიის ეთერში გავიდა, შემდეგ კი სოციალურ ქსელში გავრცელდა.

ერთერთ სიუჟეტში ახალგაზრდა მამაკაცი ეკლესიაში ოპერას მღერის, რაც შემდგომ გაშარჟებულია და სხვადასხვა კადრები აქვს ჩამონტაჟებული.

შეგახსენებთ, რომ ეს პირველი შემთხვევა არ არის 2015 წელს კულტურული მემკვიდრეობის ხელყოფის ფაქტების შემდეგ, საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, ილია მეორის მიერ გამოთქმული შეშფოთების გამო, ტელეკომპანია ATB-მ აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მდებარე ქართული სალოცავის — ქურმუხის წმინდა გიორგის ტაძარში გადაღებული კლიპის ჩვენება შეწყვიტა.

ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპარქიაში აცხადებენ, რომ ახლახან გავრცელებული ვიდეო შეურაცხყოფას აყენებს ქრისტიანულ სამყაროს და ღვთისმშობელს. ეპარქიაში ამბობენ, რომ ბაქოდან უკვე დაუკავშირდნენ და ინტერნეტში განთავსებული ჩანაწერები წაშალეს. მათი განმარტებით, არსებობს მზაობა, რომ აზერბაიჯანი ბოდიშს მოიხდის.

როგორც „შირაქმა“ გაარკვია, ქურმუხის ტაძარი ოფიციალურად ქართულ მხარეს არ ექვემდებარება. შესაბამისად, იქ ეპარქია ვერც მეთვალყურეობას ახორციელებს და ვერც დარაჯის დაყენებას ახერხებს. აზერბაიჯანის რესპუბლიკა ქრისტიანებს მხოლოდ განსაზღვრულ ტაძრებში ლოცვის შესაძლებლობას აძლევს, ქურმუხის ტაძრის კარი კი წელიწადში ორჯერ, მხოლოდ გიორგობაზე იხსნება. ამდენად, სხვა პერიოდში ტაძარში ვინ ავა და რას გააკეთებს, ამას ვერავინ აკონტროლებს. აღინიშნა, რომ ეპარქიას და ქართულ მხარეს არანაირი სამართლებრივი კავშირი არ აქვს ქურმუხის წმინდა გიორგის სახელობის ტაძართან, გარდა იმისა, რომ ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია. ეკლესია ქალაქიდან 7 კილომეტრის დაშორებით შემაღლებულ ადგილზეა აგებული, შესაბამისად, ტერიტორია ძირითადად უყურადღებოდაა მიტოვებული. აქვე, ჰერეთში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი ამბობს, რომ დანარჩენ ორ ტაძარში მღვდელმსახურების აღსრულების არანაირი პრობლემა არ არსებობს.

პარლამენტის წევრი, სიღნაღი-დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატი ირაკლი შიოლაშვილი „შირაქთან“ ამბობს, რომ ორივე ინციდენტის შესახებ ფლობს ინფორმაციას. სახელისუფლებო გუნდის წევრს იმედი აქვს, რომ აზერბაიჯანი ადექვატურად იმოქმედებს, დამნაშავეებსაც დასჯის და ვანდალური ფაქტების პრევენციასაც მოახდენს. შიოლაშვილი ხაზს უსვამს, რომ ქართველები სხვა რწმენის ადამიანებს ყოველთვის პატივს სცემენ.

„ეს არის საგარეო საქმეთა სამინისტროს კომპეტენციის საკითხი. ასეთი საქციელის ჩამდენი პირები ძალიან დაბალი ინტელექტის არიან. ქართველები განსაკუთრებით ვუფრთხილდებით სხვა რელიგიების წარმომადგენელთა რწმენას. ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში აზერბაიჯანულმა მხარემ უნდა მოახდინოს ასეთი ვანდალური ფაქტების სასწრაფო პრევენცია. ეს შემთხვევა გამოძიებული უნდა იყოს და აუცილებლად სამაგალითოდ უნდა დაისაჯნენ ის ადამიანები, ვინც ვანდალიზმი ჩაიდინეს. ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს დიდი ჯგუფი. ვფიქრობ რამდენიმე ადამიანი უნდა მონაწილეობდეს და ძალიან პატარა ჯგუფთან გვაქვს საქმე, რომელთაც ამ აქციით რაღაცის გამოხატვა სურთ. ამაში სერიოზულ პრობლემას ვერ ვხედავ, უბრალოდ, დროული და ადექვატური რეაგირებაა საჭირო ჩვენი მოძმე რესპუბლიკის მხრიდან. ორივე ფაქტი ჩემთვის ცნობილია. არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ შესაბამისი სამსახურებისთვისაც“.

ამ ფაქტთან დაკავშირებით 15 ივნისს საგანგებო განცხადება გაავრცელა საპატრიარქომ. საქართველოს საპატრიარქო აზერბაიჯანის ხელისუფლებას და სულიერ ლიდერს მიმართავს, შეისწავლონ კახის რაიონში მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში მომხდარი ფაქტი და შეწყდეს ქრისტიანული ეკლესიის მიმართ უდიერი დამოკიდებულება.

„გამოვთქვამთ ჩვენს გულისტკივილს იმ დამოკიდებულების გამო, რაც საინგილოში, კახის რაიონში, მდებარე ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიის მიმართ განხორციელდა. კერძოდ, აზერბაიჯანული გასართობი ტელეკომპანია „არბ“-ის ეთერში გავიდა გადაცემა „ფერნანდო ქალაქშია“, რომლის ერთ-ერთი სიუჟეტი გადაიღეს ქურმუხის ტაძარში, სადაც ახალგაზრდა მამაკაცი ტაძრის საკურთხეველში შეუფერებელი მანერით „ასრულებს“ შუბერტის „ავე მარიას“.

სამწუხაროდ, ეს უკვე ჩვენთვის ცნობილი მეორე შემთხვევაა, როდესაც ამ ძეგლს უდიერად ექცევიან. შეგახსენებთ, რომ 2015 წელს ტელეკომპანია „ატვ“-მ მკრეხელური შინაარსის კლიპი სწორედ აქ გადაიღო.

ქურმუხის ეკლესია უდიდესი მადლისა და ძალის სალოცავია და ეს აღიარებულია, როგორც მართმადიდებლების, ისე მუსლიმთა მიერაც. ამიტომაც გაუგებარია და დიდად საწყენი, რომ შეუფერებელი ქმედებები ხდება ამ ტაძარში და მის საკურთხეველში.

ახლახან ინტერნეტ სივრცეში დაიდო ინფორმაცია იმის შესახებაც, როგორი დაუცველი და შეურაცხყოფილია ზაქათალის რაიონში მდებარე ერთ-ერთი ტაძარიც.

მივმართავთ აზერბაიჯანის ხელისუფალთ და ვთხოვთ სულიერ ლიდერს, – მის აღმატებულება შეიხ ულ-ისლამ ალაჰ შუქურ ფაშა-ზადეს, დროულად მოხდეს ფაქტების მოკვლევა და სათანადო ზომების მიღება არსებული დამოკიდებულების აღმოსაფხვრელად.

ვიმედოვნებთ, ჩვენს ქვეყნებსა და რელიგიურ ლიდერთა შორის არსებული მეგობრული დამოკიდებულება მდგომარეობის დროულად გამოსწორების წინაპირობა იქნება“, — ნათქვამია საქართველოს საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

როგორც ხორნაბუჯისა და ჰერეთის ეპისკოპოსმა, მეუფე დიმიტრიმ აღნიშნა, ქართველ სასულიერო პირს, პეტრე ხუმარაშვილს აზერბაიჯანის მოქალაქეობა ერთი წლის წინ მიენიჭა და ქურმუხის წმინდა გიორგის ეკლესიაში ღვთისმსახურება ყოველ კვირას სრულდება. „მომხდარის შესახებ ჩემთვის უცნობი იყო. ქურმუხის ეკლესიაში წირვა ყოველ კვირას სრულდება და რა დროს მოხდა გადაღება, გაირკვევა“,– აღნიშნა მეუფე დიმიტრიმ.

თავად ისტორიულ ჰერეთში მომხდარით შეშფოთებას გამოხატავენ და ქართველებს დახმარებასა და თანადგომას სთხოვენ. თუმცა, საყურადღებოა ისიც, რომ ისინი პრესითა და ტელევიზიით პრობლემებზე ღიად საუბარს ვერ ბედავენ. კახის რაიონის მაცხოვრებლები ჩვენთან პირად საუბრებში ამბობენ, რომ ქართველები ისედაც არათანაბარ პირობებში იმყოფებიან. მაგრამ, თუ რომელიმე მათგანი პრობლემებზე საუბარს ღიად გაბედავს, მას დიდი ხნით საზღვარზე გადასვლის პრობლემაც ექნება და შესაძლოა, ფულადი ჯარიმაც დაეკისროს. რამდენიმე ახალგაზრდა, რომელიც ჰერეთის პრობლემებზე ჯერ კიდევ 4 წლის წინ ჩავწერე, იხსენებს, რომ ამ ინტერვიუების გამო მათი ოჯახები პრობლემებს დღემდე აწყდებიან. აზერბაიჯანის ხელისუფლების და არსებული დამოკიდებულების გაკრიტიკების გამო მათ ხელი ეშლებათ მცირე ბიზნესის განვითარებასა თუ ადგილზე დასაქმებაში. ადგილობრივები იმასაც ამბობენ, რომ კრიტიკის შემდეგ ჰერებს მილიციის ადგილობრივ განყოფილებაში იბარებენ და თამამი განცხადებებისთვის ახსნა-განმარტებას სთხოვენ.

რიგითი მოქალაქეების გარდა პრესასთან საუბარს ერიდებიან აქტიური ჰერელებიც, რომლებიც შემოქმედებით და აქტიურ ცხოვრებას ეწევიან. თუმცა, როცა საკითხი ჰერეთის პრობლემებს ეხება, ხვდებიან, რომ არ ღირს მასზე ღიად საუბარი... მათი სიტყვებით რომ ვთქვათ, მითუმეტეს მაშინ, როცა საქართველოდან მათ მიმართ ყურადღება გაცილებით სუსტია. ისინი მუდმივად უყურადღებობაში გვემდურიან და რთულია, ჩვენს ძველ თანამემამულეებს არ დაეთანხმო! განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისტორიული უსამართლობის მსხვერპლნი ქურმუხის ეკლესიასთან ერთად თავადაც არიან...

ილია მარტყოფლიშვილი

სასიკვდილო თამაშები

ინტერნეტსივრცეში გავრცელებულ თამაშზე "ლურჯი ვეშაპი" გამოძიება ორი მუხლით დაიწყო: კომპიუტერული მონაცემის ან კომპიუტერული სისტემის უკანონო გამოყენება და თვითმკვლელობამდე ან თვითმკვლელობის ცდამდე მიყვანა. "ლურჯი ვეშაპის" ძირითადი მომხმარებელები არასრულწლოვნები არიან.

ის გავრცელებულია რუსეთში, დიდ ბრიტანეთსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში. მოთამაშე ე.წ. კურატორისგან ეტაპობრივად იღებს რამდენიმე ათეულ სხვადასხვა შინაარსის დავალებას, რომლებიც თვითდაზიანების მიყენების მოწოდებასაც შეიცავს. თამაშის დასასრულს მოთამაშეს კურატორი აძლევს უკანასკნელ დავალებას, პირდაპირ მოუწოდებს თვითმკვლელობისკენ, რაც, ხშირად მართლაც სუიციდით მთავრდება.

როგორც ჩანს, "ლურჯმა ვეშაპმა" საქართველოშიც მოიკიდა ფეხი. აჟიოტაჟი მას შემდეგ ატყდა, რაც 12 წლის მოზარდმა თბილისში თვითმკვლელობა სცადა. გოგონა იმ დღეს სკოლაში გაკვეთილებს დაესწრო, შემდეგ დედას მესიჯი გაუგზავნა, რომ შინ ბრუნდებოდა. ისადილა კიდეც... ცოტა ხანში მეზობლები შემაძრწუნებელი სურათის თვითმხილველი გახდნენ - გოგონა თავისი კორპუსის მეხუთე სართულიდან გადმოხტა. მეზობლებმა ბავშვი სასწრაფოდ იაშვილის კლინიკაში გადაიყვანეს, მისი მდგომარეობა მძიმეა, თავზე ურთულესი ოპერაცია ჩაუტარდა...

* * *

როგორც შევიტყვეთ, მოზარდს მთავარ ფოტოდ თანატოლის, 14 წლის ნ.ჯ.-ს ფოტო ჰქონია გამოქვეყნებული. გოგონამ შარშან სწორედ ამ დროს მოიკლა თავი. თავისი "ფეისბუკის" გვერდზეც გამოფინა ფოტო, რომელიც, სავარაუდოდ, სახურავზეა გადაღებული. გოგონას თმა ჩამოშლილი აქვს, ხელები კი გაშლილი... ვაკეში, თავისი საცხოვრებელი სახლის მეშვიდე სართულზე ავიდა და... გადახტა. მაშინ უამრავმა ბავშვმა გოგონას ეს ფოტო გააზიარა და მთავარ ფოტოდ გამოაქვეყნა. ბევრი წერდა, რომ მან გმირობა ჩაიდინა... მართალია, ეს საქმე ჯერაც ბურუსით მოცულია, მაგრამ არსებობს მყარი ვარაუდი, რომ გოგონა "ლურჯი ვეშაპის" პირველი მსხვერპლი იყო საქართველოში.

როგორც შევიტყვეთ, ამ ტრაგედიიდან ცოტა ხანში კიდევ ერთმა გოგონამ

სცადა თვითმკვლელობა. მან ნ.ჯ.-ს ფოტოს მიაწერა: "შენთან მინდა, მალე შენთან ვიქნები, ასე არ შემიძლია" და აბები დალია... საბედნიეროდ, გოგონა გადაარჩინეს, მაგრამ მდგომარეობიდან გამოსული თურმე სულ იმეორებდა, მე ნ.ჯ.-ს შევპირდი და მალე მასთან წავალო.

ამ ამბებიდან ერთი წელი გავიდა... ნ.ჯ.-ს საქმეზე მეტი დეტალის გარკვევა ვცადეთ. ბინაში მდგმურები დაგვხვდნენ. მეზობლებისგან შევიტყვეთ, რომ გოგონას დედა, სავარაუდოდ, საზღვარგარეთ წავიდა.

ჩვენ დავუკავშირდით იმ სკოლას, სადაც ნ.ჯ. სწავლობდა.

"თამამი და თავისუფალი ბავშვი იყო, იმავდროულად, გულჩათხრობილიც. დედამისი ხშირად დადიოდა საზღვარგარეთ და ბავშვი მარტო რჩებოდა შინ. როგორც ვიცი, დედის მეგობრები აკითხავდნენ. ამ ტრაგედიამდეც მარტო ყოფილა, ზოგჯერ კლასელები რჩებოდნენ, წინა დღეებში წვეულებაც მოუწყვია სახლში. ყველა ამბობდა, რომ ბოლო დღეებში ძალიან აღგზნებული იყო.

მეშვიდე სართულის ღია სადარბაზოდან გადმოხტა. თურმე იმ დღეს ბოლო გაკვეთილზე ბავშვებისთვის უთქვამს, რომ მოვკვდები, ხომ მოხვალთ ჩემთანო? ეს ხუმრობა ეგონათ, ასეთი ლაპარაკი იცოდა", - ამბობს გოგონას პედაგოგი.

უკვე დადგენილია, რომ „ლურჯი ვეშაპი" სუიციდური თამაშია - ეს არის დავალებები, რომლებიც კლავს! ბავშვებს სთავაზობენ 50-მდე სახიფათო დავალებას, მაგალითად, ხელზე ვეშაპის ამოკაწვრით დაწყებული, ვენების გადაჭრით დამთავრებული,ხოლო საბოლოო შედეგი სუიციდი ან თვითმკვლელობამდე მიყვანაა. თუ მოზარდი თავს არ იკლავს, სასიკვდილო თამაშის ორგანიზატორები მას ახლობელი ადამიანის განადგუებით ემუქრებიან. ამ თამაშს უკვე ათეულობით მსხვერპლი ჰყავს. მათი რაოდენობა კი დღითიდღე იზრდება. ფსიქოლოგებისა და სამართალდამცავი ორგანოების მიერ უკვე განგაშია ატეხილი. „ლურჯ ვეშაპში" ჩართულნი არიან ბავშვები რუსეთში, ყაზახეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში და უკვე საქართველოშიც არის ტრაგიკული შემთხვევები.

როგორ უნდა მიხვდნენ მშობლები, რომ მათი ბავშვები ჩართულნი არიან სუიციდურ თამაშში?

იმისათვის, რომ ბავშვები ჩაერთონ თამაშში „ლურჯი ვეშაპი" ან კურატორისგან მიიღონ პირველი დავალება, სიკვდილის ერთ-ერთ ჯგუფში შემავალი მოზარდები სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე ან ჯგუფში პოსტავენ ე.წ. „ჰეშთეგებს" შემდეგი ტექსტით: "გამაღვიძე 4.20"-ზე ან „მინდა ჩავერთო თამაშში", უფრო იშვიათად - "ველი დავალებას". სწორედ ასეთი თეგების არსებობა სოციალურ ქსელებში შეიძლება დაეხმაროს მშობლებს მიხვდნენ, რომ მათი შვილები ძალიან საშიშ გზას დაადგნენ (ჰეშთეგი ეს არის დათაგული სიტყვა, რომელსაც წინ უძღვის სიმბოლო №. ჰეშთეგით სიტყვა იქცევა აქტიურ ლინკად და შესაძლებელს ხდის მოძებნოს ამ ჰეშთეგის ქვეშ დათაგული სხვა პოსტები მთელი სოციალური ქსელის მასშტაბით).

• მშობელმა უნდა გააკონტროლოს, რით არის დაკავებული შვილი ინტერნეტ-სივრცეში.

• მშობელმა უნდა დაიცვას ზომიერება, ე.წ. ოქროს შუალედი შვილთან ურთიერთობაში და არ არის საჭირო უკიდურესი ზომების მიღება.

• ყოველი აკრძალვა უკურეაქციას იწვევს, ზოგჯერ ზრდის კიდეც ცნობისმოყვარეობას აკრძალული საგნის მიმართ.

სასიკვდილო თამაშის „ლურჯი ვეშაპი" ორგანიზატორები მოზარდების ჩათრევას მოხერხებულად ახდენენ იმის გამო, რომ კარგად იცნობენ გარდატეხის ასაკში (12-14 წელი) მოზარდების ფსიქოემოციურ თავისებურებებს.ამ ასაკისთვის დამახასიათებელია მოზარდთა ქცევაში არსებული ბევრი სირთულე, მათ შორის ერთ-ერთი გავრცელებული ნიშან-თვისებაა სუიციდური ქცევები: სუიციდური აზრები, გადაწყვეტილებები, მუქარები, გამონათქვამები. ამას კარგად იყენებენ სპეციალურად განსწავლული ადამიანები და მიზანმიმართულად მიჰყავთ ბავშვები სიცოცხლის მოსპობისკენ. ახდენენ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მოუმწიფებელ ბავშვურ ფსიქიკაზე და არწმუნებენ მათ, რომ მხოლოდ სიკვდილი გაათავისუფლებს ცხოვრებაში არსებული პრობლემებისგან, სიკვდილის შემდეგ ხომ არაფერი არსებობს

და დგება სასურველი თავისუფლება.

ართმევენ ბავშვებს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად დაამარცხონ დეპრესია, მოერიონ ტკივილს. დათრგუნულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვები წინააღმდეგობას ვერ უწევენ სასიკვდილო თამაშის კურატორებს, მათ აღარ სჯერათ, რომ არსებობს სიყვარული , არ სჯერათ, რომ შეძლებენ ტკივილის დამარცხებას, შიშობენ თავიანთი მშობლებისა და ახლობლების გამო, რომელთა განადგურებითაც მათ ემუქრებიან, ამიტომ ვერ ტოვებენ თამაშს და ირჩევენ სიკვდილს.

როგორ უნდა მოიქცეს მშობელი ამ შემთხვევაში და როგორ უნდა დაიცვას ბავშვი „ლურჯი ვეშაპისაგან"?

უფროსების ამოცანაა კრიზისულ პუბერტატულ (გარდატეხის ასაკში) პერიოდში იყვნენ შვილების გვერდით. როცა ისინი არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ, არ უნდა გაუწიონ წინააღმდეგობა. დაე, ისწავლონ ბავშვებმა თავიანთ შეცდომებზე.

• თუ მშობელი აღმოაჩენს, რომ შვილი იჩენს ინტერესს სუიციდური თამაშის, „ლურჯი ვეშაპის" მიმართ, მან უნდა გააცნობიეროს, რომ აკრძალვა ერთადერთი გამოსავალი არ არის.

• ეფექტურია, როცა ბავშვს ესაუბრები როგორც თანასწორს, უნდა აგრძნობინოთ, რომ გიყვართ ის და მიიღებთ ისეთს, როგორიც არის - თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით.

• აუცილებელია აუხსნათ ბავშვს, რომ უფროსებსაც ჰქონიათ ცხოვრებაში დეპრესია, ტკივილი, იმედგაცრუება, მაგრამ ეს უფრო აძლიერებს ადამიანს და არ კლავს, რომ არავის აქვს უფლება განაგოს სხვისი ცხოვრება. ტკივილი და იმედგაცრუება დროებითია ცხოვრებში და გაივლის, არავის აქვს უფლება ითამაშოს სხვისი სისუსტეებით.

• სუიციდური თამაშის კურატორებს, „ყოვლისშემძლეთ" ძალიან ეშინიათ პოლიციის და ამ თამაშის მონაწილე ბავშვების მშობლებისაც.

შეიძლება ბავშმა საერთოდ არ იცის ასეთი თამაშის არსებობის შესახებ, მშობლის მიერ დასმული შეკითხვა მის ინტერესს უფრო ხომ არ გაამძაფრებს და ხომ არ ეცდება მოძებნოს აღნიშნული თამაში?

ასეთ შემთხვევაში მას უნდა დაუსვათ ნეიტრალური კითხვა (მშვიდი ტონით, შფოთვის გარეშე) სმენია თუ არა ასეთი თამაშის შესახებ. ყურადღებით მოისმინეთ ბავშვის პასუხი. თუ მის მონათხრობში არის ბევრი დეტალი, რომელთა შესახებ არ წერენ სოციალურ ქსელებში, ე.ი არსებობს რისკი, რომ ბავშვი უკვე თამაშშია. უფროსი ასევე უნდა დააფიქროს იმ ფაქტმა, რომ თუ ბავშვი ყვება თავის მეგობარზე, რომელიც თამაშში მონაწილეობს, დიდია ალბათობა, რომ ის იტყუება და თვითონ თამაშობს და ასეთი სახით საკუთარ თავზე საუბრობს.

• თუ მშობელს გაუჩნდა ეჭვი, რომ მისი შვილი უკვე არის „ლურჯი ვეშაპის" საშიშ საზოგადოებაში, ტელეფონის ჩამორთმევა, ინტერნეტის გათიშვა საჭირო არ არის, რადგან სურვილის შემთხვევაში მაინც მოძებნის ქსელში შეღწევის საშუალებას. რაც მეტი იქნება წინააღმდეგობა, მით უფრო მატულობს აკრძალვებისგან თავის დაღწევის სურვილი.

• ეჭვის შემთხვევაში უნდა გადაათვალიეროთ სოცქსელების გვერდები და ტელეფონები ისე, რომ ბავშვმა ეს არ უნდა იცოდეს. სასიკვდილო თამაშები -ეს ის შემთხვევაა, როცა გამართლებულია პირად ცხოვრებაში ჩარევა.

• თუ მშობელსა და შვილს შორის არ არის ურთიერთგაგება, თუ ბავშვი დაინტერესებულია სუიციდით, ჩართულია სიკვდილის ჯგუფში, ასეთ შემთხვევაში უნდა ჩაერთოს პროფესიონალი - ფსიქოლოგი, რომელიც აუხსნის და ასწავლის მშობელს, როგორ მოუსმინოს და გაუგოს თავის შვილს. ბავშვისთვის უმნიშვნელოვანესია, რომ მას გაუგოს სწორედ თავისმა მშობელმა. მას სიკვდილი სულაც არ უნდა, მას სჭირდება იმის გაცნობიერება, რომ ის ფასეულია, როგორც პიროვნება.

უკვე დადგენილია, რომ მოზარდთა თვითმკვლელობის არაერთი შემთხვევა სუიციდურ თამაშებში ჩართულობას უკავშირდება. ვირტუალური სამყარო, რომლითაც მოზარდები ყველა მოთხოვნილებას , მათ შორის სექსუალურს, იკმაყოფილებენ, სახიფათოა მათი ფსიქიკისთვის. მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ კრიზისულ, გარდატეხის პერიოდში მოზარდი არ უნდა დარჩეს მარტო თავის ფსიქოლოგიურ პრობლემებთან. მშობელი უნდა დაეხმაროს მოზარდს ცხოვრებისეული და ფსიქოლოგიური პრობლემების გადალახვაში. სწორედ ამ პერიოდში მოზარდი აუხსნელ ქცევებს ახორციელებს, საკუთარ თავში იკეტება, რადგან მისი ფსიქიკა ემოციურად არამდგრადია, ადვილად ითრგუნება და ექცევა სხვისი ზეგავლენის ქვეშ. ის უნდა იყოს დაკავებული სხვა საქმეებით: ჩართული უნდა იყოს სხვადასხვა სექციებსა თუ წრეებში, სპორტულსა თუ შემოქმედებით საქმიანობაში, მათი ინტერესებისა და უნარების გათვალისწინებით.

P.S. რუსეთში პოლიციამ სასიკვდილო თამაშების ერთ-ერთი ადმინისტრატორი ილია სიდოროვი დააკავა. ამის შესახებ ინფორმაციას რუსული მედია ავრცელებს. 26 წლის ილია სიდოროვი მოსკოვში მოზარდების თვითმკვლელობამდე მიყვანის ბრალდებით დააკავეს. მისი საცხოვრებელი ადგილიდან პოლიციამ ხუთი ტელეფონი, პლანშეტი და რამდენიმე სიმ ბარათი ამოიღო. ბრალდებული სასიკვდილო თამაშების საშუალებით მოზარდებს სხვადასხვა დავალებებს აძლევდა, მათ შორის მეტროს ლიანდაგებში გადახტომას და სხვ.

ილია სიდოროვმა აღიარა, რომ „ლურჯი ვეშაპის" ერთ-ერთი ჯგუფის ადმინისტრატორი იყო, რომელშიც 32 არასრულწლოვანი იყო განევრიანებული. პოლიციის ინფორმაციით, "ლურჯი ვეშაპის" ადმინისტრატორს 5 წლიანი პატიმრობა ემუქრება. შეგახსენებთ, ონლაინ თამაშ "ლურჯი ვეშაპის" გამო რუსეთში მოზარდების მიერ სუიციდის 130-მდე შემთხვევა დაფიქსირდა.

ჩაჭრილი მოსწავლეები — სკოლის თუ სისტემის პრობლემა

საატესტატო გამოცდებზე ქვეყნის მასშტაბით 11 000 მოსწავლის ჩაჭრას ვნებათაღელვა მოჰყვა. საზოგადოება განათლების სისტემის ხარვეზებზე და ძირეული რეფორმების გატარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. ისინი თვლიან, რომ განათლების სისტემა დროულად თუ არ შეიცვალა, ექსპერტი განათლების საკითხებში მანანა ნიკოლაიშვილი ამბობს: „ყოველთვიურად რომ ცვლიდნენ მინისტრებს, 1 200 მდე სკოლა დახურეს, ლომაიებმა-შაშკინებმა და მისთანებმა ათასნაირი ცდები ატარეს ბავშვებზე და რას ველოდით, არ დადგებოდა ეს შედეგი?... გასულ წლებში დაშვებული შეცდომების ნაყოფს ახლა ვიმკით.“

გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რა შედეგით დასრულდა საატესტატო გამოცდები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სკოლებში. როგორც დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრში განმარტავენ, ამჯერად 65 მოსწავლე ჩაიჭრა. აქ შედის გასულ წელს ჩაჭრილი 6 მოსწავლეც, რომელიც განმეორებით ცდილობდა ატესტატის მოპოვებას, თუმცა, ამჯერადაც, უშედეგოდ. .. დეტალურ შედეგებზე საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი გვესაუბრება:

ეთერ ზურიკაშვილი: „წელს დედოფლისწყაროსა და მის სოფლებში 256-მა მოსწავლემ დაამთავრა 12 კლასი. საატესტატო გამოცდებში მთელი რაიონის მასშტაბით 65 მოსწავლემ ვერ გადალახა მინიმალური ზღვარი, რაც იმას ნიშნავს, რომ ატესტატს ვერ მიიღებს. თუმცა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ 6 მათგანი განმეორებით გავიდა გამოცდებზე. შეფასებაზე რომ ვისაუბროთ, ყველაზე მეტად უცხო ენასა და მათემატიკაში გაუჭირდათ. 25 მოსწავლე ჩაიჭრა უცხო ენაში, 24 – მათემატიკაში, 13 – ისტორიაში და სამიც – ქართულ ენა-ლიტერატურაში. მაგრამ მოდით, მხოლოდ უარყოფითზე ნუ შევჩერდებით, ცხადია, იყო ნარმატებებიც. არიან ისეთი სკოლებიც, სადაც არცერთი მოსწავლე არ ჩაჭრილა, ასეთებია ოზაანის და არბოშიკის საჯარო სკოლები. ათმა მოსწავლემ უცხო ენაში მაღალი შეფასება აჩვენა. ორმა მათემატიკაში და ისტორიაში. ჩაიჭრნენ ძირითადად ის მოსწავლეები, რომლებიც არ სწავლობდნენ და არ დადიოდნენ სკოლაში. თორემ საგამოცდო საკითხებში არაფერი იყო ისეთი, რომ ელემენტარული ზღვარი ვერ გადაელახათ. მოსწავლეს, რომელსაც ატესტატის მიღების პრეტენზია აქვს, ელემეტრარული ცოდნა უნდა გააჩნდეს, რომ მოთხოვნათა მინიმალური ზღვარი დაძლიოს.

– რა ბედი ეწევა ჩაჭრილ მოსწავლეებს, როგორია სამინისტროს მიდგომა?

– სამინისტრო ზღვარს არ აწესებს, ამიტომ ჩაჭრილებს იმდენჯერ მიეცემათ გამოცდის ჩაბარების საშუალება, რამდენჯერაც სურთ. თუმცა, არავითარი შეღავათი ან სპეციალური პირობები არ იგეგმება. ახლახანს, სამინისტროში რეგიონებისთვის სპეციალური შეხვედრა შედგა, სადაც პარლამენტის განათლების კომიტეტმა ისაუბრა ჩაჭრილებისთვის გამოსავალის ძიების გზებზე. თუმცა, სამინისტროს პოზიცია კატეგორიულია. როდესაც მოსწავლე რამდენჯერმე ვერ ახერხებს მინიმალური ზღვარის დაძლევას, მისთვის სხვა პირობების შეთავაზებას აზრი არ აქვს და კარგი იქნება, თუ ასეთმა მოსწავლეებმა პროფესიული ტექნიკური განათლება მიიღონ და რომელიმე ხელობას დაეუფლონ. ამ სფეროს განვითარებისა და გაძლიერებისთვის ბოლო წლებში სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა და არაერთ რეგიონში თანამედროვე სტანდარტებით აღიჭურვა პროფსასწავლებლები. საყურადღებოა ისიც, რომ მათ იოლად შეუძლიათ დასაქმება, თუკი საქმეს კარგად აითვისებენ, ამ მხრივ შეფერხება არ ექნებათ.

შემოვიდა მაგნიტური დაფები, ახალი მერხები და სკამები გვაქვს აბსოლუტურად ყველა სკოლაში. რაც თანხები გვაქვს ყველა სკოლაში ხდება გარკვეული კოსმეტიკური თუ სარეაბილიტაციო სამუშაოები. სამინისტროს ინფრასტრუქტურის სამსახური ახლახანს კიდევ იმყოფებოდა დედოფლისწყაროში და მათი გადაწყვეტილებით, დედოფლისწყაროს №1 და ხორნაბუჯის საჯარო სკოლა სამოქმედო გეგმაში ჩაჯდა და როგორც კი სასწავლო პროცესი დასრულდება, მაშინვე დაიწყება პირველ სკოლაში გათბობის, ჭერისა და შესასვლელის სრული რეაბილიტაცია. ხოლო ხორნაბუჯის სკოლაში ადრე გამოიცვალა ფანჯრები და დარჩენილ ნაწილში მოხდება კარ-ფანჯრის განახლება. ასევე, გათბობის სისტემა გასულ წელს ნაწილობრივ შერემონტდა, მისი აღჭურვა გაგრძელდება. გასულ ზამთარს გათბობის სისტემამ პირველ, მეორე სკოლასა და სამრეკლოში გამართულად იმუშავა, თუმცა სოფელ ხორნაბუჯში პერიოდულად გვქონდა რაღაც ხარვეზები. შემდეგ სამინისტროს წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და შეაკეთეს.



25 მოსწავლე ჩაიჭრა უცხო ენაში, 24 – მათემატიკაში, 13 – ისტორიაში და სამიც – ქართულ ენა-ლიტერატურაში. მაგრამ, მხოლოდ უარყოფითზე ნუ შევჩერდებით, ცხადია, იყო წარმატებებიც“

– გასულ წელს, როდესაც სკოლებში ინკლუზიური განათლების შედეგებს აჯამებდით, აღნიშნეთ, რომ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, ყველა სკოლაში მოქმედებდა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის რესურს-ოთახები. ახლა რა ვითარებაა ამ კუთხით?

– რაიონის ყველა სკოლაში უკვე მიმდინარეობს ინკლუზიური განათლება. ამ დროისთვის 66 ასეთი მოსწავლე გვყავს რეგისტრირებული. მაგალითად, ზემო მაჩხაანის სკოლაში 11 მოსწავლეა და მათ 2 პედაგოგი ემსახურება. საკმაოდ კვალიფიციური, შესაბამისად გადამზადებული კადრები ცდილობენ მათ განვითარებაზე იზრუნონ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ საუკეთესოდ აღჭურვილი რესურს-ოთახები გვაქვს ყველა სკოლაში. სამინისტრო სერიოზულ თანხებს გამოყოფს საიმისოდ, რომ ეს ოთახები მაქსიმალურად იყოს აღჭურვილი და კეთილმოწყობილი როგორც კომპიუტერებით, ისე სხვადასხვა თვალსაჩინოებებითა და ნივთებით. ხორნაბუჯის სკოლის სპეცპედაგოგმა ქალბატონმა ჟანა ბაბაიანმა გასულ კვირას ეს ბავშვები ექსკურსიაზე წაიყვანა. როგორც ისინი ამბობენ, დიდი სურვილი ჰქონდათ, ექსკურსიაზე ერთად წასულიყვნენ. ამჯერად რაიონის გამგეობამ დააფინანსა ისინი და ლამაზი დღე მოუწყო მათ. შიომღვიმეში, მცხეთასა და თბილისში იმყოფებოდნენ და საგანგებოდ წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია წარმოადგინეს. ეს ექსკურსია ძალზე მნიშვნელოვანი იყო მათ ცხოვრებაში, რადგან ისინი სხვა ქალაქებში თითქმის არ არიან ნამყოფი.

– ექიმის კაბინეტი ამოქმედა რამდენიმე სკოლაში, მათ შორის სამრეკლოშიც კეთილმოეწყო, თუმცა სამრეკლოში ვერ იყენებენ , რა არის ამის მიზეზი?

– ქალაქ დედოფლისწყაროს №1 და №2 საჯარო სკოლებში ექიმის კაბინეტი უკვე მოქმედებს და იქ ძალიან კარგი ექიმები მუშაობენ. ამას გარდა, თანამედროვე სტანდარტებით მოეწყო კაბინეტი სამრეკლოს სკოლაშიც, თუმცა, ამ დრომდე ვერ ამოქმედდა. რაიონში არის ექიმების დეფიციტი. სკოლის დირექტორმა რამდენჯერმე გამოაცხადა ვაკანსია, თუმცა სამი-ოთხი მცდელობის მიუხედავად ვერ მოხერხდა სათანადო კვალიფიკაციის ექიმის მოძებნა. ასევე უახლოეს მომავალში იგეგმება სოფელ სამრეკლოს სკოლაშიც მოეწყოს სამედიცინო კაბინეტი. ამისათვის უკვე შერჩეულია სპეციალური ოთახი და აღჭურვილობაც ჩამოსულია. მხოლოდ მის კეთილმოწყობას სჭირდება გარკვეული დრო. ხორნაბუჯში სავარაუდოდ მომავალ სასწავლო წელს ამოქმედდება. იმედი გვაქვს, სამრეკლოს მსგავსად, აქაც სათანადო კადრის დეფიციტი არ გვექნება.

ილია მარტყოფლიშვილი

დედოფლისწყაროს ტურისტული განვითარების კონცეფციაზე მუშაობა დაიწყო

სულ ცოტა ხნის წინ სიღნაღი-დედოფლისწყაროს დეპუტატს ირაკლი შიოლაშვილს შევხვდით. საუბრისას ბატონმა ირაკლიმ აღნიშნა, რომ მისი დატვირთული რეჟიმის პარალელურად მუდმივად არის ძიებაში, მართავს შეხვედრებს და აწარმოებს სამუშაოებს იმასთან დაკავშირებით, რომ დედოფლისწყაროს რაიონი ტურისტულად მიმზიდველი გახადოს. მისივე განმარტებით, ამ სფეროს მოწესრიგებით დედოფლისწყარო ბევრად გამოცოცხლდება და მისი ეკონომიკური პოტენციალიც ბევრად გაიზრდება.

როგორც ჩანს, ამ მხრივ შიოლაშვილის მიერ წამოწყებულმა საქმემ შედეგი გამოიღო და ტურიზმის განვითარებისთვის მოსამზადებელი პირველი ეტაპის კამპანია უკვე დაიწყო. უპირველესი, რაც ხდება, ტარდება კვლევა, ძირითადი მონახაზის დადება, თუ რა უნდა გაკეთდეს ამ დარგის ამუშავებისთვის მომავალ ხუთ წელიწადში. ამ მიზნით, გასულ კვირას არასამთავრობო სექტორისა და თვითმმართველობის სხვადასხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირების შეხვედრა და სამუშაო პროცესი შედგა.

შეხვედრა მოხდა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის საკონფერენციო დარბაზში. მასპინძელი გახლდათ გამგეობის არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ფონდებთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი, ექსპერტი გარემოსდაცვის საკითხებში ანა ბენაშვილი. მოწვეული სტუმარი იყო რეგიონების განვითარების ფონდის დამფუძნებელი, დამოუკიდებელი ექსპერტი მაია კაციტაძე. სამუშაო შეხვედრა-სემინარი შეეხებოდა დედოფლისწყაროს რაიონში ტურიზმის განვითარების კვლევას ანუ „სვოტ“- ანალიზს, – რა არის საჭირო იმისთვის, რომ დედოფლისწყაროში ტურიზმი განვითარდეს? საინტერესო აღმოჩნდა ჯგუფური მუშაობა, სადაც ახალგაზრდებიც იყვნენ ჩართულნი. ეს გახლავთ იმ კონცეფციის საწყისი ეტაპი, რომელში ჩართულ მუშა ჯგუფების გონივრულად განსაზღვრულ-პრიორიტეტებზეც იქნება დაფუძნებული დედოფლისწყაროს ტურისტული განვითარების ხუთწლიანი კონცეფცია. შეხვედრის კიდევ ერთი მთავარი მიზანი იყო ქვეყანა იმართოს „ქვემოდან ზემოთ“ და არა პირიქით, ანუ ხალხის მოთხოვნის შესაბამისად იმოქმედოს სახელმწიფო მმართველობამ და არა პირიქით.

შეხვედრაზე განისაზღვრა ოთხი ძირითადი მაჩვენებელი: დედოფლისწყაროს ძლიერი მხარე, სუსტი მხარე, შესაძლებლობები და რისკები. იყო დისკუსია, საუბრები და სწორი აზრისა თუ ხედვის გაანალიზება. ძლიერ მხარედ დასახელდა ჩვენი კულტურული ძეგლები, მუზეუმები, რომელიც კუთხის აღქმისთვის ტურისტების პირველი ველია, ასევე ძლიერი რესურსია, რა თქმა უნდა, არქეოლოგიური აღმოჩენები, რომელიც ბოლო დროს შირაქში მოხდა. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სისუსტეში ანუ ხარვეზში გაიშიფრა გზების კიდევ უფრო მეტად კეთილმოწყობა, ტბის რეაბილიტაცია და ინფრასტრუქტურის მოწყობა, ყველა კულტურული ძეგლის ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობა, განათებების განახლება, ხელნაკეთი ნიმუშების საგამოფენო სივრცის და ობიექტების არსებობა, ჩვენი რაიონის ტურისტულ მარშრუტში არყოფნა.

რაიონის შესაძლებლობებში დასახელდა: ადამიანური რესურსები, ვიზიტორთა ცენტრები, ტურისტული სააგენტოები და კარგი პიარკამპანია.

რისკებში განისაზღვრა: ტბის დაშრობა, არწივის ხეობის და ხორნაბუჯის ციხის დაშლის საფრთხეები, ასევე ელიის მთის დაშლის საფრთხე, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების რისკი, ეკოგარემოს შენარჩუნების სახელმწიფო სტრატეგიული გეგმის არ არსებობა, რეგიონის დაცლის საშიშროება, ტურისტების სიმცირე და რეგიონის გაღარიბება.

შეხვედრაზე მუშა ჯგუფებმა გასცეს პასუხები კითხვებზე - თითოეულ წევრს რა წვლილი შეუძლია შეიტანოს ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებაში, რას ფიქრობენ, სახელმწიფოს მხრიდან, რომელი პრობლემა უნდა მოგვარდეს ტურიზმის განვითარების მხრივ უპირველესად და მათი აზრით, ყველაზე მეტად რომელი რგოლი მუშაობს რაიონის ღირსშესანიშნაობებიდან ტურისტული კუთხით?

ლალი მეხრიშვილი

საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამა ამოქმედდება

საბერძნეთის რესპუბლიკის განათლების, კვლევისა და რელიგიურ საქმეთა სამინისტრომ გადაწყვეტილება მიიღო, საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, აღნიშნულის შესახებ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩომ უკვე მიიღო წერილობითი ცნობა საბერძნეთის განათლების, კვლევისა და რელიგიურ საქმეთა მინისტრის მოადგილისგან, თეოდოსიოს პელეგრინისგან.

ბერძნული მხარის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით, საწყის ეტაპზე ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამა ამოქმედდება ქ. ათენის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც კონცენტრირებულია ქართველი მოსწავლეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ამასთან, ქართული მხარე უზრუნველყოფს პროექტის განხორციელებისთვის ფინანსურ და ლოჯისტიკურ მხარდაჭერას, ხოლო სწავლების პროგრამა დაიგეგმება და წარიმართება საბერძნეთის კანონმდებლობისა და საბერძნეთის განათლების სისტემის რეგულაციების შესაბამისად.

"აღსანიშნავია, რომ საბერძნეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩო ამ საკითხთან დაკავშირებით წლების განმავლობაში მოლაპარაკებებს აწარმოებდა ბერძნულ მხარესთან", -ნათქვამია უწყების ინფორმაციაში.

საქართველოს ელჩი საბერძნეთში მცხოვრებ ქართველებს მიმართავს

საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, იოსებ ნანობაშვილი საბერძნეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს მიმართავს.

როგორც ელჩი აღნიშნავს, საბერძნეთის ომბუდსმენს ანდრეას პოტაკისს შეხვდა და ფიქრობს, რომ ამ შეხვედრის შემდეგ, საბერძნეთში საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვა კიდევ უფრო მეტად გაუმჯობესდება. ამასთან, საბერძნეთის ომბუდსმენის აპარატი მკაცრ მონიტორინგს გაუწევს საბერძნეთიდან საქართველოში რეადმისიისა და დეპორტაციის პროცესებს.

"მოგეხსენებათ, რომ საბერძნეთში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა ინტერესების დაცვა ჩვენი საელჩოს საქმიანობის მნიშვნელოვანი მიმართულებაა. ამ კუთხით, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი უკვე გადაიდგა. საქართველოს მოქალაქეების ინტერესებსა და უფლებებს ვიცავთ საბერძნეთის საზღვრებზე, წინასწარი დაკავების იზოლატორებსა და პენიტენციალური სისტემის სხვა დაწესებულებებში, სასამართლოებში, საავადმყოფოებში, საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებულ ინციდენტებზე ინფორმაციების მისაღებად კი კვირის 7 დღის 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს საელჩოს „ცხელი ხაზი",- წერს იოსებ ნანობაშვილი.

რაც შეეხება საბერძნეთის ომბუდსმენთან შეხვედრას, ელჩის ინფორმაციით, განიხილეს ორი ძირითადი საკითხი: წინასწარი დაკავების იზოლატორებსა და ციხეებში მყოფ საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დაცვა და საელჩოს ინიციატივა საქართველოს მოქალაქეთა საბერძნეთში ყოფნის ლეგალიზაციის ხელშეწყობის თაობაზე.

„საბერძნეთის ომბუდსმენთან შევთანხმდით, რომ საბერძნეთში საქართველოს მოქალაქეთა უფლებების დარღვევის ფაქტებზე რეაგირებას მოახდენს ომბუდსმენის აპარატში მოქმედი სპეციალური ჯგუფი, რომლის წევრებსაც გააჩნიათ სასჯელაღსრულების დაწესებულებებისა და წინასწარი დაკავების იზოლატორების ინსპექტირების უფლებამოსილება ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე. ამის გარდა, პოტაკისის თხოვნაა, პირადად ჩავაყენო საქმის კურსში ყოველი ასეთი გადაცდომის თაობაზე.

ამის გარდა, საბერძნეთის ომბუდსმენის აპარატი მკაცრ მონიტორინგს გაუწევს საბერძნეთიდან საქართველოში რეადმისიისა და დეპორტაციის პროცესებს. რეადმისიისა და დეპორტაციის დროს საქართველოს მოქალაქეების მიმართ საბერძნეთის პოლიციის მხრიდან უფლებამოსილების გადამეტების ყველა ფაქტზე ინფორმირებული იქნება ომბუდსმენის აპარატი, ხოლო ამ უკანასკნელის რეაქცია იქნება მყისიერი და ეფექტური.

ანდრეას პოტაკისი მიესალმა საქართველოს საელჩოს მიერ საქართველოს მოქალაქეთა საბერძნეთში ყოფნის ლეგალიზაციის ხელშეწყობის მიზნით შემუშავებულ ღონისძიებებს. მან მზადყოფნა გამოთქვა, პირადად ჩაერთოს ამ პროცესში, მონაწილეობა მიიღოს როგორც საბერძნეთის საემიგრაციო კანონის გზამკვლევის შექმნაში, ასევე მხარი დაუჭიროს საელჩოს ინიციატივით შექმნილი სამართლებრივი-საკონსულტაციო ჯგუფის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ინიციატივებს, რომლებმაც საქართველოს მოქალაქეთა კონკრეტული ჯგუფებისათვის საბერძნეთში ყოფნის ლეგალიზაციის გამარტივებას ისახავენ მიზნად", - წერს ელჩი.

იოსებ ნანობაშვილი საქართველოს მოქალაქეებს თხოვნით მიმართავს, მომავალშიც აქტიურად ითანამშრომლონ საქართველოს საელჩოსთან საქართველოს მოქალაქეებთან დაკავშირებული ინციდენტების შესახებ ინფორმაციების მოწოდების კუთხით.

„ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას, რათა სრულად ავამოქმედოთ ყველა არსებული ინსტრუმენტი, რომელიც საბერძნეთში მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და ინტერესების დაცვას შეუწყობს ხელს", - ნათქვამია ელჩის მიმართვაში.

„ზღაპარ იყო"



ვაგრძელებთ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გამართული კონკურსის **„ზღაპარ იყოს"** გამარჯვებულების ნამუშევრების გამოქვეყნებას. დღეს გთავაზობთ ხორნაბუჯის საჯარო სკოლის მესამე ბ კლასის მოსწავლე თამთა ჯანიაშვილის ნამუშევარს:"ზღვის ბოროტი ჯადოქარი და ქალთევზების თავგადასავალი".

* * *

იყო და არა იყო რა,იყო ერთი ზღვა. ზღვაში ცხოვრობდნენ ქალთევზები: იასია, ნარცისია, პიონისია, წულპანისია, ეფოსია. ისინი ერთმანეთის მეგობრები იყვნენ. სულ ერთად დაცურავდნენ. ხან ზღვის ფსკერზე ჩაყვინთავდნენ, ხან ზღვის ნაპირას ამოყოფდნენ თავს. მათი საამური სიმღერა ყველას ყურს ატკბობდა. მათ შორის, ერთ-ერთი პიონისია, ძალიან ცნობისმოყვარე იყო. მეგობრები სულ ჭკუას არიგებდნენ. სადაც საჭირო არ

არის,ცხვირს ნუ ყოფო, მაგრამ ის მეგობრებს არ უჯერებდა. ხან ზღვის მეორე ნაპირას ამოყოფდა თავს, ხან გემებთან მიცურდებოდა, ხან ზღვის ფსკერზე ეძებდა ნიჟარებს.

ამავე ზღვაში ცხოვრობდა ზღვის ბოროტი ჯადოქარი. მას შურდა ქალთევზების და გადაწყვიტა პიონისია გაეტაცებინა. ბოროტი ჯადოქარი დიდხანს ფიქრობდა, როგორ მოეწონებინა თავი ქალთევზებისთვის.

წყალმცენარეებისაგან შეიკერა ლამაზი კაბა, ზღვის ხავსით პარიკი გაიკეთა, ყურებზე მარგალიტები ჩამოიკიდა. ხელებზე ნიჟარების სამაჯური გაიკეთა. ერთი სიტყვით, გამოიპრანჭა და ქალთევზების წინ გაისეირნ-გამოისეირნა.

პიონოსია იმწუთშივე დაინტერესდა მისით. მეგობრებმა ურჩიეს, ნუ ენდობი უცხოსო, მაგრამ პიონისამ არ დაუჯერა მივიდა მასთან და გამოელაპარაკა.

– გამარჯობა! მე თქვენ აქ არასდროს მინახიხართ, აქ საიდან გაჩნდით, ვინ ხართ?

– მე სხვა ზღვის უფლისწული ვარ. თქვენი სიმღერის ხმა გავიგე და აქეთ გამოვცურე. რითი ხართ დაკავებული?

– მე თუ რამეს ვნახავ, ყველაფერი მინდა გავიგო- უთხრა პიონისამ.

– ჩვენთან არის ერთი ქალთევზა, მაგრამ ორი კუდი აქვს.

მართლა? მაშინ წამიყვანე და მანახე!

– კარგი, წამოდი! - უპასუხა გახარებულმა ჯადოქარმა.

წავიდნენ. გზად თევზები, ზვიგენები და სხვა ზღვის ცხოველები შეხვდნენ.

მივიდნენ ბოროტი ჯადოქრის სახლში. ჯადოქარმა უთხრა, რომ ის ქალთევზა თავის სახლშიაო და შევიდნენ.

სახლში ძალიან ბნელოდა. ჯადოქარი თითით აჩვენებდა -იქაა, იქააო.

პიონისია თვალებს აცეცებდა, რომ დაენახა ორკუდიანი ქალთევზა.

უცებ, ბოროტმა ჯადოქარმა, ხელი ჰკრა პიონისიას და გალიაში შეაგდო.

ნარცისია, წულპანისია, იასია და ეფოსია, დიდხანს ეძებდნენ პიონისიას, რომ არ დაბრუნდა, დაუწყეს ძებნა. ხან თევზებს ეკითხებოდნენ, პიონისია ხომ არ გინახავთო? თევზები ეუბნებოდნენ: -არაო. ზვიგენებსაც ჰკითხეს:- პიონისია ხომ არ გინახავთო?

ზვიგენები ქალთევზებს გაეკიდნენ.

შეშინებულმა ქალთევზებმა გამოსავალი ნახეს და ჩაძირულ გემში შევიდნენ. ზვიგენები გემში ვერ შევიდნენ და უკან დაბრუნდნენ.

უცებ, იასიამ ოქროს თევზი დაინახა და ნამოიძახა: – ნარცისია, წულპანისია, ეფოსია, შეხედეთ, ოქროს თევზი, მოდი, ვკითხოთ სად არის პიონისია?

– მოდი- უპასუხეს გოგონებმა და მივიდნენ:

– ოქროს თევზო, ოქროს თევზო, გთხოვთ გვითხარი, ხომ არ იცი სად არის პიონისია?

ოქროს თევზმა უთხრა:- ვიცი სადაც არის, წამომყევით! ქალთევზებიც მიჰყვნენ.

ბევრი იარეს და მივიდნენ დიდი ქვისაგან აშენებულ სახლში. იმ სახლიდან ისმოდა ყვირილი. გოგონებმა იცნეს პიონისიას ხმა და ოქროს თევზს მადლობა გადაუხადეს.

გოგონები შევიდნენ სახლში და დაინახეს პიონისია. მათ დაინახეს ჯადოქარიც. პიონისია გალიაში იყო გამომწყვდეული. იასიამ ჩუმად უთხრა ეფოსიას: - მოდი, ის კაცი გაართეო.

– შენ ხომ სწრაფად გლეჯ ბალახს წულპანისია? ჰოდა ჩქარა დაკრიფე ბალახი! მე კი გასაღებს ავიღებო!

ეფოსიამ ცეკვით გაართო ჯადოქარი. იასიამ გასაღები აიღო, გაუხსნა გალიის კარები პიონისიას და გააპარა.

იასიამ კარები ღია დატოვა. ეფოსიამ ისე უცებ გაცურა, რომ ბოროტი ჯადოქარი გალიაში შევარდა. წულპანისიამ გალიის კარები ბალახებით დააბა და გასაღებითაც დაკეტა.

ნარცისიამ, წულპანისიამ და ეფოსიამ სახლში წაიყვანეს პიონისია. მეგობრებმა პიონისია ჭკვაზე დაარიგეს, რომ არასდეს დაუკითხავად, არსად და არავისთან ახლოს არ მივიდეს .

ამის შემდეგ პიონისია გამოსწორდა და ყოველთვის დაფიქრებით დაცურავდა ზღვის ტალღებში.

ქალთევზებმა იცოდნენ, რომ ზღვის ბოროტი ჯადოქარი გალიაში იყო გამომწყვდეული. ამიტომ ისინი იმედიანად დაცურავდნენ ზღვაში და ისევ ისმოდა მათი საამური სიმღერის ხმა.

„ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა!"

„ბავშვებო! გაფრთხილდით! უცხოს მანქანაში არ ჩაუჯდეთ!"

ქ. დედოფლისწყარო,
სოფელ ხორნაბუჯის საჯარო სკოლა,
ავტორი: 3-ბ კლასის მოსწავლე

თამთა ჯანიაშვილი

შირაქის სკივრი

1955 წლის ივნისი

○ რაიონში არის 11 გმირი დედა. მათ შორის არიან ისეთები, რომელთაც დახმარების დანიშვნიდან დღემდე 75-76 000 მანეთი აქვთ მიღებული. მაგალითად ასეთია მრავალშვილიანი დედა ევ. გარაქლოვა, მან 76 850 მანეთი მიიღო. მარტოხელა და მრავაშვილიანი დედების პირობების გაუმჯობესება და დახმარების გაცემა გრძელდება. მარტო გასულ თვეში წითელწყაროში გაცემულია 36 100 მან.

○ რაიონის ყველა კოლმეურნეობა წინ მიდის კვერცხის ჩაბარებაში, სამარცხვინოდ ჩამორჩება მხოლოდ სოფელი არხილოსკალო. რძის ჩაბარებაში ჩამორჩება ზემო ქედის ოზაანის, მირზაანის, არბოშიკის კოლმეურნეობები.

○ ელექტრომეურნეობამ გამოარკვია, რომ ილია იურინი და ანა აგაპოვა ნებართვის გარეშე ხარჯავდნენ დენს. სარგებლობდნენ ელექტრო უთოთი, ქურებით, მეტსანთლიანი ნათურებით, რომლებიც რეგისტრირებული არ ჰქონდათ. წითელწყაროს სახალხო სასამართლომ მოქალაქეების იურინისა და აგაპოვას საქმე განიხილა და თითოეული მათგანი 100-100 მანეთით დააჯარიმა.

○ წელს რაიონის მოსახლეობამ შრომითი მონაწილეობით დარგო რამდენიმე ასეული ნერგი. კარგი ღონისძიება იყო, მაგრამ ნარგავები მივიწყებულია, მოვლა პატრონობაზე არავინ ფიქრობს. ნერგები მიკრული არ არის სარზე, არ აქვს შემობარული ძირები, არ ირწყვება და პირუტყვისგან ზიანდება.

○ ამიერიდან თბილისის სარეწაო არტელი „კავკასიის“ თევზჭერის განყოფილება მზადაა ახალი თევზი სისტემატიურად მიაწოდოს როგორც რაიონის ცენტრის მაღაზიებს და სასადილოებს, ისე სოფლის მშრომელებს. განსაკუთრებით მოსავლის აღების პერიოდში მინდვრად მომუშავეებს.

1958 წლის ივნისი

○ ზემო მაჩხაანის კულტურის სახლთან შეიქმნა სასულე ორკესტრის შემსწავლელი წრე, სადაც 20 ახალგაზრდაა. მას ხელმძღვანელობს მაესტრო გ. ლუცკერი. ცეკვის წრეს კი კარლო გოგაშვილი. კულტსახლი ნაყოფიერ მუშაობას ეწევა და მაჩხაანის სიამაყეა. დრამატული კოლექტივი პიესებსაც ამზადებს როგორც მინდვრად, ისე მეცხოველეობის ფერმებში საჩვენებლად.

○ წითელწყაროს პიონერთა სახლმა ექსკურსია მოაწყო გაზეთ „ახალი შირაქის“ სტამბასა და რაიონის კავშირგაბმულობის კვანძში. პიონერები სტამბაში გაზეთის ბეჭდვის პროცესს გაეცნენ, ხოლო კავშირგაბმულობაში ტელეფონის, ტელეგრაფისა და რადიოს მუშაობას. მათ ასევე მოაწყეს ლაშქრობა „თამარის ციხეზე“.

○ წითელწყაროს სამდღიანი ვიზიტით ალბანელები სტუმრობდნენ. ალბანეთის რესპუბლიკის სახელმწიფო მეურნეობის მევენახეობის მთავარი აგრონომი ლ. პროდანია, ასევე სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების თავმჯდომარეები სეფაი, ტილკა და აშიკუ. მათ დაათვალიერეს არბოშიკის ნათესები, ვენახი და მეცხოველეობის ფერმები. სტუმრებს განსაკუთრებით სიმინდის დამუშავების გამოცდილება აინტერესებდათ.

○ „ზემო მაჩხაანის სასადილო მუდამ გამოკეტილია. როცა ღიაა, მომსახურება ძალზე არადამაკმაყოფილებელია. გამეფებულია ანტისანიტარია, არ აცვიათ სპეცხალათები, ჭურჭელს არ რეცხავენ მდუღარე წყლით, კერძები უხარისხო კეთდება. სასადილო კერძო გამორჩენისთვის უფრო მუშაობს ვიდრე საზოგადოებისთვის. ფასები ბევრად აღემატება ბაზრის ფასებს. ისინი რელიგიურ დღესასწაულებზეც ვაჭრობენ. ამასწინათ გიორგობა ეზოში იზეიმეს ცრუმორწმუნეებმა. გამგე ჯალიაშვილი მთელი დღე ლუდს ყიდდა. ინფორმაციის გაზეთში დაბეჭდვიდან 2 დღეში გამგე ცუდი მუშაობისთვის მოხსნეს.“

○ ქვემო ქედის კოლმეურნეობის საველე საწყობში „თბილად“ მოეწყო ალექსი ხუციშვილი. „მადა ჭამაში მოდისო“ და მან ხელი მიჰყო მარცვლეულის დატაცებას. ორი წლის მანძილზე მან მოასწრო 51 ტონა ხორბლისა და 18,5 ტონა ქერის მითვისება. ხუციშვილის საქმე გაარჩია რაიონის სახალხო სასამართლომ და 13 წელი პატიმრობა, ქონების კონფისკაცია და სასჯელის მოხდის შემდეგ 4 წლით საარჩევნო ხმის უფლების ჩამორთმევა მიუსაჯა.

1960 წლის ივნისი

○ საბჭოთა ხელისუფლების მოსვლამდე წითელწყაროში უმაღლესი განათლება არ ჰქონდა არცერთ ადამიანს, ხოლო საშუალო განათლება მხოლოდ 9 კაცს. ამჟამად რაიონში 847 უმაღლესდამთავრებული პირია, ხოლო 2 047 საშუალო. მთლიანად ლიკვიდირებულია წერა-კითხვის უცოდინარობა.

○ რაიონის დაბა და სოფლები მთლიანად რადიოფიცირებულია. მნიშვნელოვნად გაზარდა ტელევიზორთა რაოდენობა. ამ წლისთვის წითელწყაროში 150 ერთეულ ტელევიზორს ფლობენ.

○ 1921 წლამდე რაიონში მხოლოლოდ ერთი ოთხწლედი სკოლა იყო, სადაც 70 ბავშვი სწავლობდა. 1960-61 სასწავლო წლისთვის კი რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების რიცხვი 20-მდე გაიზარდა. სწავლობს 5 480 მოსწავლე. მუშაობს 406-ზე მეტი მასწავლებელი, რომელთა 70%-ს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება. მიმდინარეობს 2 სკოლაინტერნატის მშენებლობა.

1961 წლის ივნისი

○ წითელწყაროს დაბის ცენტრში დასრულდა ახალი აბანოს კეთილმოწყობის სამუშაოები. აბანოს აქვს კაცთა და ქალთა საერთოები, ასევე 10 ინდივიდუალური ნომერი, სამრეცხაო და სხვადასხვა სათავსოები. შენობა ამ დღეებში გაეშვა ექსპლოატაციაში.



○ მშვენიერი დასასვენებელი ადგილი „ლეტნიკის“ ტყე დასვენებისა და გართობისთვის თითქმის გამოუყენებელია. ასევეა სოფელ ჯაფარიძის მახლობლად მდებარე ორი ტბა. აქ შეიძლება მოეწყოს ნავებით სეირნობა, ბანაობა, სპორტული ვარჯიშები, შეჯიბრები. რაიკომმა რამდენიმე წლის წინ გააკეთებინა რკინის კოშკურა წყალში გადახტომისთვის, მაგრამ გამოუყენებელია. მშრომელები დაუსვენებლად მუშაობენ და საჭიროა მათ მოვუწყოთ კარგი გართობა-დასვენება.

○ ნაყოფიერად მუშაობს რაიონის კინოთეატრი, მაგრამ აფიშები მხოლოდ რუსულ ენაზე იწერება, რაც მიუღებელია. უნდა იყოს ქართულ-რუსულ ენებზე გამოკრული არა მარტო ცენტრში, არამედ წითელწყაროს გარეუბნებშიც. ამასთან, ხელმძღვანელებმა ვერ მოაგვარეს, რომ კინოსეანსი იწყებოდეს განსაზღვრულ საათებში.

○ სოფ. გამარჯვებაში მცხოვრები ირაკლი ქისტაური მამაც მონადირედ ითვლება, კარგად აგნებს მგლის ბუნაგს. მან ოსტატურად გამოიყვანა 7 მგლის ლეკვი, გაატყავა და ტყავები ჩაბარა დამამზადებელ პუნქტს. თითოეულზე მიიღებს 50 მანეთს და ჯილდოდ დამატებით 35 მანეთს. ქისტაურის მაგალითი მისაბაძია მონადირეთათვის.

○ „ვაშლოვანის ნაკრძალის არსებობიდან ორი წლის მანძილზე უკვე აშენდა თანამშრომელთა საცხოვრებელი სახლი. წელს დასრულდება ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის მშენებლობა. აქ მოეწყობა ნაკრძალისთვის დამახასიათებელი ფლორისა და ფაუნის მუზეუმი. ნაკრძალის კოლექტივი ყველაფერს აკეთებს, რომ მტკიცედ დაიცვას ბუნების ეს სილამაზე და სიმდიდრე“ - წერს ნაკრძალის დირექტორი გ. გველუკაშვილი.

○ „წითელწყაროს რაიონულმა კულტურის სახლმა გააძლიერა დრამატული წრე, მათ ახალი პროგრამა მოამზადეს და პირველი კონცერტი გამართეს ძველ ქართულ სოფელ – სამთაწყაროში. მეორე დღეს ჩვენი საკონცერტო ბრიგადა ეწვია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კახის რაიონს. სოფელ ალიბეგლოში მცხოვრებ ქართველებს ვაჩვენეთ ქართული კონცერტი. ისაუბრეს ისტორიულ წარსულზე. მათ წარმოდგენა მოეწონათ და ითხოვეს, სხვა ქართულ სოფლებშიც მოგვეწყო. ამ დღეებში კონცერტები ჩატარდა აგრეთვე ბაიდა-ჩათმელ მენავთობეებთან. მზადდება ახალი პროგრამა, მალე კონცერტებს გავუმართავთ ჩვენი რაიონის მწყემსებს მთაში.“

(სტილი დაცულია.)

მოამზადა
ილია მარტყოფლიშვილმა

დელფინებმა ზღვიდან ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი გამოაბრძანეს

რამდენიმე დღის წინ ქალაქ სოჭში ზღვის სანაპიროზე მყოფი ადამიანები მეტად უცნაური მოვლენის მომსწრენი გახდნენ: რამდენიმე დელფინი მოცურავდა ნაპირისკენ და მოაცურებდა რაღაც „საგანს“. მათ „საგანი“ ნაპირზე გამორიყეს და შემდეგ უკან გაბრუნდნენ. თვითმხილველები ამბობენ, რომ დელფინების რიცხვი 12 იყო. ნაპირზე გამორიყულ ფიცრის ნაჭერს თავიდან არავინ მიაქცია ყურადღება. შემდეგ ერთი ქალბატონი დაინტერესდა, ფიცარს ზღვის მცენარეები გადააცალეს და აღმოჩნდა, რომ ეს იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი – „ზეციური ნიშანი“ (ასე ეწოდება ხატს).

გაოცებულმა ქალმა და მისმა მეუღლემ ხატი რუსეთის საპატრიარქოში მიაბრძანეს, იქ ხატი კიოტში მოათავსეს და ახლაც საპატრიარქოშია დაბრძანებული.

თუმცა, მთვარი ის კი არ არის, სად არის ახლა ხატი, არამედ იმის მიხვედრაა, თუ რა ნიშანს აძლევს ამ ხატის გამოჩენით უფალი ადამიანებს.

გასწორება

ჩვენი გაზეთის №21-ში, მე-2-ე გვერდზე გამოქვეყნებულ მასალაში „აქ ერბოში ცურავენო, არბოშიკი დაგიძახეს“ მესამე სვეტში წინადადება: „იხსენებენ დათუკიშვილ ილიას, „ცეტ ილიად“ წოდებულს, რომელიც სიმართლისათვის ყოველ ბრძოლაში დაუფიქრებლად მიდიოდა. ამიტომაც სოფელი მას ამ სახელწოდებით სცნობდა. იხსენებენ „დედას ლევანასაც“, იმას, ვინც ქართული სიმღერების არაჩვეულებრივ შემსრულებლად და ხალხური მელოდიების გადამრჩენად ითვლებოდა, მაშინაც და ახლაც“, უნდა იკითხებოდეს ასე: „იხსენებენ მის შილდელ მეგობარს, „დედას ლევანასაც“ და მერე როგორც ტექსტშია.

ცნობისათვის: ლევან ასაბაშვილი, მეტსახელად „დედას ლევანა“ დაიბადა და ცხოვრობდა (1856-1934 წ) ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში. იყო სახალხო მომღერალი, ქართულ-კახური სიმღერების უბადლო შემსრულებელი. მათ შორის კლასიკური კახური ნიმუშების - „ჩაკრულო“, „გრძელი მრავალჟამიერი“, „ჩონგურო“ და სხვა. ჰქონდა ფართო დიაპაზონის ძლიერი, მოქნილი, მომხიბლავი ტენორი. 1927 წელს „დედას ლევანას“ პირველი საჯარო გამოსვლა მოეწყო რუსთაველის თეატრის სცენაზე პოეტ ი. მჭედლიშვილის ინიციატივით.

მონატრება

ილიკო შარვაძე

„ბევრი მაქვს სათქმელი შენთვის“ - გული მტკივა, თითქოს ტრადიციად მექცა, გაზეთის ფურცლებიდან შენთან საუბარის ასე დაწყება, შვილო; არავინ იცის, ვის რას უმზადებს ბედისწერა: ზოგისთვის ერთი და იგივე რიცხვი შეიძლება ცხოვრების დასაწყისიც აღმოჩნდეს და დასასრულიც. შენთვის ასეთი რიცხვი 21-ია.

21 ივნისი შენი სიცოცხლის და ამქვეყნად მოვლინების დღეა, ხოლო 21 ნოემბერი კი შენი ცხოვრების დასასრული. ეს რიცხვი როგორც დიდი სიხარულის, ისე დიდი ტკივილის მომტანია შენი უბედური დედისთვის. 21 ივნისს 43 წლის გახდებოდი, გილოცავ, ჩემო დედისერთა ბიჭო, მაგრამ შენ მუდმივად დარჩი დედის გულში 38 წლის, რადგან უკვე მეხუთედ აღვნიშნავთ უშენოდ შენს დაბადების დღეს ცრემლით და მწუხარებით. შენ ხომ ძალიან გიყვარდა შენი დაბადების დღე და უკეთესი მომავლის იმედით ხვდებოდი, ყველაფერს ამ დღეს უკავშირებდი.

ვინც გიცნობდა, ყველა გიხსენებს, დაბადების დღეს გილოცავს და ცოცხლად გადღეგრძელებს, შვილო. ვერ ვეგუები უშენობას, გამტეხა დარდმა, ლოდინმა. ჩემი გამონათება მხოლოდ შენი პატარა შვილები ნია და ილიკოა. მენატრება შენი ხმის გაგონება, შენი გაღიმება, სუნთქვა, დედისთვის არ არსებობს ამაზე დიდი ჯვარი... აუტანელი ტკივილი სცოდნია სულს. დრო გადის, მაგრამ ტკივილი არ ნელდება, ძალიან მიჭირს უშენობა, ირგვლივ სიცარიელე და მწუხარებაა. საშინელებაა, როცა შვილმკვდარი დედა იგონებს შვილის დაბადების დღეს და მონატრებას წერს.

როცა ცოცხალ ადამიანს ადღეგრძელებ, ხალისი აქვს ყველაფერს, როცა გარდაცვლილს – ცრემლებს ვერ იკავებ, გული გწყდება, რომ შენს გვერდით აღარ არის. შენისთანა ვაჟკაცი არ უნდა იწვეს ცივ სამარეში. დღესაც კარებისკენ ვიყურები, გელოდები, როდის შემოაღებ კარს, ჩემო გაუნელებელო ტკივილო და მოუნელებელო სევდავ.

38 წელი ხომ ერთი ამოსუნთქვა იყო შენთვის, შენი დედისთვის, შენი ოჯახისთვის–შენი მეუღლე თამუნასათვის, შენი პატარა შვილებისთვის. მართლაც ერთი ამოსუნთქვით დამთავრდა შენი ლამაზი სიცოცხლე და მოწმენდილ ცაზე მზის დაბნელებას დაემსგავსა შენი სიკვდილი. სიყვარულისთვის იყავი მოსული ამ ქვეყნად, ამიტომაც დატოვე დაუვიწყარი სახელი შენს ახლობლებსა და მეგობრებში. შენი ხალისიანი, მოუსვენარი და თბილი ბუნება ყველას სამეგობროდ განაწყობდა.

შენი ნასვლით საძირკველი გამოეცალა ჩემს ოჯახს, დავკარგე ძლიერი საყრდენი. შენ უნდა ყოფილიყავი შენი გამრავლებული ოჯახის ბურჯი. შენს ოჯახში საუკუნის ხატი გიდგას ხსოვნისა, მაგრამ ეს ვერ აშუშებს დედის გულის იარას. ძნელია სიცოცხლე შვილმკვდარი დედისა და ყოველდღიური მოლოდინი ერთადერთი შვილისა. ადრე გარდაცვალება რჩეულთა ხვედრია. ჩვენ არაფერი არ ვიცით, ყველაფერი ღმერთმა უწყის!. განა თავად არ გვეუბნება უფალი: „მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს“ - შენც მარად იცოცხლებ, ჩემო ილიკო, შენი დედის და ცოლ-შვილის გულში.

შენს უსაყვარლეს მამასთან და ბებია-პაპებთან ერთად შეხვდები შენს დაბადების დღეს ზეციურ სასუფეველში. ნათელში იყავით ყველა. 21 ივნისს შენს საფლავთან შევიკრიბებით, მოვეფერებით შენს ლამაზ სულს, ცრემლით გაგითბობთ გულს, რომელიც ყოველთვის სიყვარულის და სიკეთის მატარებელი იყო. დაგინთებ 43 წმინდა სანთელს და შეგავედრებ უფალს, დაგიმკვიდროს მარადიული სასუფეველი იქ, სადაც მართალნი განისვენებენ.

შენი მონატრებული დედა ნათელა იაკობიშვილი-შარვაძე.

ვინ ვართ ჩვენ?!

გასულ კვირას დედოფლისწყაროს კულტურის სახლს თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი სტუმრობდა. „ვინ ვართ ჩვენ?!“ – ასე ერქვა სპექტაკლს, რომლის მთავარი სათქმელი მსახიობების იმ ცხოვრების გადმოცემა გახლდათ, რომელიც სიტყვასიტყვით ეხმაურება კითხვას, – რა ხდება მსახიობის ცხოვრებაში სცენის მიღმა, კულისებში?

ვ. პეტროვის პიესა „თეატრი ჩემი სიყვარულია“, რომლის თარგმანი ეკუთვნის ლილი ფოფხაძეს, ხოლო რეჟისორი და ინსცენირების ავტორი გახლავთ გოგი ჩაკვეტაძე, ტრაგიკომიკური წარმოდგენაა, რომელიც თელავის თეატრის ღვაწლმოსილმა მსახიობებმა ეთერ ბაბილაშვილმა, ნონა ხუმარაშვილმა და მალხაზ ჩიდრაშვილმა ითამაშეს. მსახიობების ცხოვრება სცენის მიღმა არცთუ ადვილია. - ჩვენ შესაძლოა სცენაზე ვიცინით, ვმღერით და ვცეკვავთ კიდეც, როდესაც არ გვეცეკვება, მაგრამ ამავე დროს ვიღებთ ისეთ სიამოვნებას, რასაც სხვები ვერასოდეს გაიგებენ,- ეს გახლდათ სპექტაკლის მთავარი გზავნილი, რომელიც მთელ საღამოს თან სდევდა. მსახიობებმა გადმოსცეს ის დამოკიდებულება, რაც მათ შორის ხდება- ხშირად მსახიობები ერთმანეთს იძულებენ, კამათობენ, შეურაცხყოფას აყენებენ, რათა როლები გაიყონ, ანდა ერთმანეთს ელაქუცებიან და ეპირფერებიან, რათა ერთმანეთის წინაშე ყალბი ან გულწრფელი სიყვარული ითამაშონ. ამ ურთიერთობაში კი, ქვეცნობიერის ჭიდილი, თუ რა უფრო სასარგებლოა კოლეგისთვის: ყალბი სიყვარული, თუ წრფელი სიძულვილი. და ეს ყველაფერი მაშინ, როდესაც თავად მსახიობებს უჭირთ გაუგონ ერთმანეთს, როდის თამაშობს მისი მეგობარი და როდისაა გულწრფელი, - ეს სპექტაკლის მთავარ კვანძად იყო ქცეული.

სპექტაკლი მართლაც დამაფიქრებელი იყო, მასში მაყურებელი ცხოვრების არსს ამოიკითხავდა. მისი ნახვის შემდეგ მსახიობ მარიკა სამანიშვილის სიტყვები ამომიტივტივდა, სადაც კარგად ჩანს მსახიობის ხვედრი: – „მსახიობის ცხოვრება არ არის მხიარული და ბედნიერი, მითუმეტეს – საქართველოში. აქ გჭირდება ძალიან დიდი ძალა, რომ ადამიანმა თავი გადაირჩინო, მითუმეტეს მსახიობმა! გჭირდება უდიდესი ენერგია, რომ იყო ფორმაში და გამოიყურებოდე ღირსეულად. მაყურებელმა არ უნდა იგრძნოს, რა ტრიალებს შენს გულში, შენს ოჯახში, სამსახურში, ცხოვრებაში. ეს უნდა იყოს ისეთივე ვალდებულება და აუცილებლობა, როგორი ბუნებრიობითაც შენ ატარებ შენს სახელსა და გვარს. ჩვენი პროფესია გვავალდებულებს, რომ შევინიღბოთ: არ მოვახვიოთ თავს ჩვენი ტრაგედია ვინმეს, რადგან მაყურებელს უნდა იქ მისვლა, სადაც განტვირთვას ნახავს და არა ის, რომ კიდევ უფრო დაიძაბოს და დამძიმდეს. ამას ყველაფერს სჭირდება ძალიან დიდი ოსტატობა, ძალიან დიდი სიყვარული სიცოცხლის. ამიტომ მიყვარს განსაკუთრებით ოთარ ჭილაძე და მისი დევიზი – „გახსოვდეს სიცოცხლე!“ შენ არ ხარ მარტო იმისთვის მოვლენილი, რომ ფუფუნებაში იცხოვრო და დედამიწამ შენს გარშემო იტრიალოს. მე ჩემს ცხოვრებაზე რომ მოვყვე, ამას არავინ დაიჯერებს. დამიჯერებს ვინმე, რომ მე ტომრები მაქვს ნათრევი, რომ ჩემი ოჯახი მერჩინა?! ვიჯექი კიბის ქვეშ - ქარიშხალში, თოვლში, წვიმაში?! საიდან წამოვსულვარ, რომ საღამოს სპექტაკლი მეთამაშა: იმხელა გზები უნდა გადამევლო, რომ თეატრამდე მომეღწია. ამას ვერავინ დაიჯერებს. ჩემი მეგობრები გაოგნებულნი არიან ჩემი ცხოვრებით. მაგრამ არის ღმერთი და ბუნება, რომელსაც ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს ცხოვრებაზე, ვისაც შეუძლია ამის დანახვა. ამიტომ მარტო არასდროს არა ხარ. შენი ცხოვრება შენ უნდა შექმნა, არავინ მოგიტანს ხონჩით არაფერს.“– ამბობს მსახიობი მარიკა სამანიშვილი.

სპექტაკლს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ ჯანიაშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ პაპიაშვილი, თვითმმართველობის წარმომადგენლები.

– „თეატრი იმიტომ მიყვარს, რომ იგი არის ქვეყნის, ადამიანების, ცხოვრების, მიმდინარე პროცესების სარკე. თუ ამ სარკეში ჩაიხედავ და იქ არ იქნება ჭეშმარიტებამდე აყვანილი ხელოვნება, არ დაგხვდება მნიშვნელოვანი სათქმელი, მაშინ ფუჭია მსახიობის ცხოვრება. ჩვენ რისთვის ვცხოვრობთ? ვცხოვრობთ და ვარსებობთ მაყურებლისთვის. მაყურებელს უნდა გავუწიოთ დიდი ანგარიში და განსაკუთრებული მნიშვნელობა მივანიჭოთ. როგორი გვინდა იყოს თანამედროვე თეატრი?- მე ბედნიერი ვარ, რომ დღეს დედოფლისწყაროში ვარ და თელავის თეატრს წარმოვადგენ, იყო ცოტა, მაგრამ მაღალხარისხიანი მაყურებელი. მიხარია, რომ ეს თანამშრომლობა ბოლო წლების განმავლობაში არსებობს ჩვენს შორის. ეს გარკვეულწილად თქვენი გამგებლის - ნიკოლოზ ჯანიაშვილის და კულტურის ცენტრის დირექტორის ნონა ჯიბღაშვილის დამსახურებაა. სპექტაკლის პრემიერა შედგა 31 მარტს თელავის თეატრში და მას შემდეგ გვქონდა რამდენიმე გასვლა რაიონებში. გვსურს, რომ ის რაც შეიძლება მეტმა ადამიანმა ნახოს. მადლობა ადგილობრივ გაზეთს ყურადღებისთვის.“– აღნიშნა „შირაქთან“ სპექტაკლის დასასრულს მსახიობმა ეთერ ბაბილაშვილმა.

ლალი მეხრიშვილი

ულოცავენ!

ინგა შიოლაშვილს!

დაუჯერებელია, მაგრამ შენ უკვე ორგზის ბებია ხარ! **დემეტრეს** შემდეგ პატარა **ანანოს** დაბადებამ შენთან ერთად ყველა ძალიან გაგვახარა. გილოცავთ, იყავი ბედნიერი შენს ქეთისთან, დათოსთან და მათ პატარა გოგო-ბიჭებთან ერთად. ჯანმრთელები, გონიერები და ღონიერები გაზარდოს უფალმა და თავის წყალობა არ მოაკლოთ.

სიყვარულით, შენი „შირაქელები“.

ანა ბილიაშვილს და გიორგი გოგლიძეს!

გილოცავთ ბედნიერებას. „თქვენი ოჯახის სიკეთეს ვთხოვ მზესა და მთვარეს“. დღევანდელი სიყვარული გაგყოლოდეთ სიბერემდე. რადგან „ის ურჩევნია მამულსა“,... აქედან გამომდინარე, თქვენგან ველით, რომ გეყოლებათ ბევრი, ბევრი შვილი!

სიყვარულითა და კეთილი სურვილებით,
ნათელა პაპიდა ოჯახით.

გელა ბილიაშვილს! ეთერ ალადაშვილს!

გილოცავთ თქვენი უსაყვარლესი შვილის ქორწინებას. ანას და გიორგის ვუსურვებთ ბედნიერებას, წრფელ სიყვარულს, სიხარულს და გამრავლებას. დაგლოცოთ და გაგახაროთ უფალმა.

პატივისცემით, სს „არწივის ხეობის“ *თანამშრომლები.*

ნიკა ჭუჭულაშვილს!

ჩვენო საყვარელო შვილო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ კარგად სწავლას, ჯანმრთელობას, რაც პირველი ყოფილა ცხოვრებაში. ამის შემდეგ სულ გახარებული და წარმატებული გვენახე. ღმერთმა მაკმაროს ის ნერვიულობა და დარდი, რაც 10 წლის ბავშვმა გადაიტანე. სულ წინსვლა და სიხარული შენს საყვარელ დედიკოსთან ერთად. ასეც იქნება. შენ ხომ მარტო გაზრდილი არ ხარ, შენ აღზრდილიც ხარ, რითაც ვამაყობთ მთელი შენი ახლობლები.

შენზე მუდმივად მზრუნველი ადამიანები: დეიდეგი, დეიდაშვილეგი, გიძეგი, გიცოლეგი, გიძაშვილეგი.

მწვანე ყავა არტერიულ წნევას აწესრიგებს და ქოლესტერინის დონეს აქვეითებს

მწვანე ყავა ეთიოპიის პროვინცია კაფაში დაახლოებით 800 წლის წინ გამოჩნდა. მას უფრო რბილი, მაგრამ ნაჯერი გემო და მრავალი სასარგებლო თვისება აქვს. მწვანე ყავა მეტ პურინულ ალკალოიდს - თეობრომინს, თეოფილინსა და კოფეინს შეიცავს. ისინი ტვინის მუშაობის სტიმულატორებია, ამასთან, შაკიკის, სპაზმური ტკივილის და ანემიის დროს ეფექტურია და ხელს უწყობს ყურადღებისა და მეხსიერების კონცენტრაციას.

ამინომჟავებისა და ანტიოქსიდანტების მაღალი შემცველობის შედეგად, მწვანე ყავა ორგანიზმის გასუფთავებას, გაახალგაზრდავებასა და იმუნიტეტის გამყარებას უწყობს ხელს. მწვანე ყავა ინსულინისადმი მგრძნობელობას ამაღლებს, რაც ჰორმონული მადის შეტევებს თრგუნავს. ამიტომ ექიმები შაქრიანი დიაბეტის რისკის მქონე პირებს ამ სასმელის რეგულარულად ზომიერ მიღებას ურჩევენ.

მწვანე ყავას ძირითადი ღირსება მასში ქლოროგენის მჟავას შემცველობაა. ეს უკანასკნელი აქტიურად მოქმედებს ნახშირწყლოვან ცვლაზე. მწვანე ყავის ექსტრაქტი არტერიულ წნევას აწესრიგებს, აქვეითებს ქოლესტერინის დონეს, რაც ინფარქტისა და ინსულტის პრევენციაა.

კოფეინისა და ქლოროგენის მჟავას კომბინაცია შესანიშნავ შედეგს იძლევა. კოფეინი წვავს ცხიმს, კანს ელასტიურობასა და სიმკვრივეს ანიჭებს. ქლოროგენის მჟავა კი აჩქარებს მეტაბოლიზმის პროცესებს და ზლის ცხიმოვან უჯრედებს. ის გლუკოზის მარაგის ფორმირებაში ეხმარება ორგანიზმს, რომელიც ორგანიზმში გლიკოგენის სახით ხვდება. ეს რთული ნახშირწყალი ღვიძლში ლაგდება, როგორც კონცენტრირებული ენერგიის წყარო.

ქლოროგენის მჟავას ძირითადი ამოცანაა ცხიმის გარდაქმნა კალორიის წყაროდ და გლუკოზის გლიკოგენისგან გამოთავისუფლება, რის შედეგადაც ორგანიზმი ცხიმებს ხარჯავს, რაც გახდომას უწყობს ხელს. მწვანე ყავა ორგანიზმს ასუფთავებს ტოქსინებისა და ზედმეტი სითხისგან, რაც ზედმეტ წონას აშორებს.

მწვანე ყავა შეიძლება იყოს მარცვლოვანი და დაფქული, სახეებიდან - რობუსტა და არაბიკა. პირველში მეტია კოფეინიც და ქლოროგენის მჟავა, სამაგიეროდ მეორეს უფრო რბილი გემო აქვს. ზოგჯერ ამ ორი სახის ნარევიც არის. საუკეთესოდ ითვლება სველი წესით მიღებული მწვანე ყავა.

მწვანე ყავის სწორად გამოყენებისას გახდომის ეფექტი უკვე ერთ კვირაში ჩანს. უფრო სერიოზული ცვლილებები 7-8 კვირაშია შესამჩნევი. 1 ან 2 ჭიქა მწვანე ყავის ყოველდღიური მიღებისას 6 თვის შემდეგ შეიძლება 8 კგ დაიკლოთ, ორგანიზმისთვის ზიანის მიყენების გარეშე. უკუჩვენებების არარსებობისას ყავის მიღება შეიძლება მთელი წლის განმავლობაში. სწორი კვების პირობებში დაკარგული კილოგრამები არ ბრუნდება.

ყავის ნალექი შეიძლება სქრაბის სახით გამოვიყენოთ. მას ცელულიტის საწინააღმდეგო მოქმედებაც აქვს. არაა რეკომენდებული მწანე ყავის მიღება ორსულობისას, ბავშვებისთვის, მომატებული ნერვული აღგზნებადობისა და ათეროსკლეროზის დროს.

ამინდი დედოფლისწყარო

ორშაბათი 19.06		სამშაბათი 20.06		ოთხშაბათი 21.06		ხუთშაბათი 22.06		პარასკევი 23.06		შაბათი 24.06		კვირა 25.06	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
21 °	20 °	22 °	18 °	21 °	18 °	19 °	17 °	20 °	19 °	18 °	17 °	19 °	17 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ლალი მეხრიშვილი, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტები) ; ელზა ხარაშვილი (სტილისტ-ქენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი) ; ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი) ; მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „სამშობლოს“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
ტელ. 0 356 22 55-49;
598 72-18-72 (დირექტორი)
591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.